პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1980 წელი
კვირა
2
მარტი
№ 52
(17695)
□
ფასი 2 კაპ.

საქმეე გამოარჩინა

ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავისათვის თბილისის აბრეშუმის სამრეწველო გაერთიანების 27 მქსოველი და 8 ბრიგადა შეასრულებს მეათე ხუთწლედის გეგმას, ხოლო 85 მქსოველი და 15 ბრიგადა 4 წლისა და 4 თვის დავალებას. გაერთიანების 20 მუშა კი უკვე მეთერთმეტე ხუთწლედის ანგარიშში შრომობს.

საწარმოს 10 პროდუქციას მინიჭებული აქვს სახელმწიფო ხარისხის ნიშანი, ხოლო ორი წარდგენილია უმაღლესი კატეგორიის მისაღებად.

შეჯიბრებას სათავეში უდგანან საქსოვი საამქროს ქარგალი გ. სულაბერიძე, მქსოველები ნ. ინაძე და ნ. წიკლაური.

სურათზე: (მარცხნიდან) ნ. ინაძე, გ. სულაბერიძე და ნ. წიკლაური.

თ. ნიკოლაიშვილის ფოტო.



# ცნობა

## მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოებისა და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების არჩევნების შედეგების შესახებ

### მონაცემები არჩევნების შესახებ ქვეყნდება იმ მასალების მიხედვით, რომლებიც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებისაგან

1980 წლის 24 თებერვალს გაიმართა მოკავშირე, ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოებისა და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების არჩევნები.

საარჩევნო კამპანია მთელ ქვეყანაში მიმდინარეობდა მასების მაღალი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებების შესრულებისათვის, ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების 110-ე წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის, მეათე ხუთწლედის გეგმების წარმატებით შესრულებისათვის საერთო-სახალხო ბრძოლის ვითარებაში.

ყველა საბჭოთა ადამიანმა მოქმედების საბრძოლო პროგრამად მიიღო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა ქალაქ მოსკოვის ბაუმანის საარჩევნო ოლქის ამომრჩევლებთან შეხვედრაზე.

საარჩევნო კამპანიის დროს მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა, სახალხო ინტელიგენცია გამოხატავდნენ დიდ კმაყოფილებას კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ლენინური საშინაო და საგარეო პოლიტიკის გამო, მხურვალედ იწონებდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, მისი პოლიტბიუროს მრავალმხრივ და ნაყოფიერ მოღვაწეობას სოციალისტური ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის შემდგომი განვითარებისათვის, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის, ქვეყნად მშვიდობის განმტკიცებისათვის.

ლენინური პარტიისადმი საბჭოთა ხალხის უსაზღვრო ნდობის ნათელი გამოხატულებაა ის ფაქტი, რომ ყველა რესპუბლიკის მშრომელთა წინასაარჩევნო კრებებზე დიდი ერთსულოვნებით დაასახელეს პირველ დეპუტატობის კანდიდატად კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწე, მშვიდობისა და კომუნიზმის საქმისათვის მტკიცე მებრძოლი, დიდი ლენინის საქმის ერთგული განმგრძობი — სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხანაგი ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი. დეპუტატობის პირველ კანდიდატთა შორის დასახელებული არიან აგრეთვე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები და წევრობის კანდიდატები, პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნები.

მოკავშირე, ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოებისა და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების არჩევნებმა კიდევ ერთხელ დამაჯერებლად ცხადყო საბჭოთა ადამიანების მაღალი პოლიტიკური შეგნება, პარტიისა და ხალხის ურღვევი ერთიანობა. არჩევნები სოციალისტური დემოკრატიის ნამდვილ ზეიმად იქცა.

არჩევნებისათვის მზადება და თვით არჩევნები მიმდინარეობდა მოკავშირე, ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციების, რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოებისა და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების არჩევნების შესახებ კანონების სრული შესაბამისობით და ხალხის უაღრესად ფართო მონაწილეობით. მილიონობით საბჭოთა მოქალაქე აქტიურად მუშაობდა საარჩევნო კომისიებში ნდობით აღჭურვილ პირებად, აგიტატორებად და პროპაგანდისტებად. წინასაარჩევნო კრებებზე ამომრჩევლები თავისუფლად და ყოველმხრივ განიხილავდნენ დეპუტატობის კანდიდატთა პოლიტიკურ, საქმიან და პირად თვისებებს, მისცეს მათ განაწესები, გამოთქვეს შენიშვნები და წინადადებანი სახელმწიფო ორგანოების, მეურნეო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ.

გაიმართა 15 მოკავშირე რესპუბლიკის, 20 ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოებისა და სახალხო დეპუტატთა 50.991 ადგილობრივი საბჭოს არჩევნები.

არჩევნების ჩატარებისათვის შექმნილი იყო 936.807 საარჩევნო კომისია, რომელთა მუშაობაში მონაწილეობდა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და შრომითი კოლექტივების 8.615.382 წარმომადგენელი. კომისიების შემადგენლობაში იყო 4.372.400 მამაკაცი, ანუ 50,8 პროცენტი, 4.242.982 ქალი, ანუ 49,2 პროცენტი, 3.510.575 სკკპ წევრი და წევრობის კანდიდატი, ანუ 40,7 პროცენტი, 5.104.807 უპარტიო, ანუ 59,3 პროცენტი, 3.854.010 მუშა, ანუ 44,7 პროცენტი, 1.126.047 კოლმეურნე, ანუ 13,1 პროცენტი, 2.715.801 30 წლამდე ასაკის ახალგაზრდა, ანუ 31,5 პროცენტი, 1.807.292 სრულიად საკავშირო ალკკ წევრი, ანუ 21,0 პროცენტი.

ქვეყანაში შექმნილი იყო 178.629 საარჩევნო უბანი. ამომრჩეველთა სიაში შეტანილი იყო 176.590.512 კაცი. არჩევნებში მონაწილეობდა 176.565.746 ამომრჩეველი, ანუ 99,99 პროცენტი.

მოკავშირე, ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოებისა და მოკავშირე რესპუბლიკებში სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების არჩევნებში ამომრჩეველთა მონაწილეობას ახასიათებს შემდეგი მონაცემები:

| მოკავშირე რესპუბლიკები | სულ ამომრჩეველი | არჩევნებში მონაწილეობა მიიღო | პროცენტი |
|---|---|---|---|
| რუსეთის სფსრ | 97.402.250 | 97.380.586 | 99,98 |
| უკრაინის სსრ | 35.687.727 | 35.686.203 | 99,99 |
| ბელორუსიის სსრ | 6.696.514 | 6.696.153 | 99,99 |
| უზბეკეთის სსრ | 7.430.418 | 7.430.394 | 99,99 |
| ყაზახეთის სსრ | 8.595.969 | 8.595.713 | 99,99 |
| საქართველოს სსრ | 3.188.551 | 3.188.487 | 99,99 |
| აზერბაიჯანის სსრ | 3.149.194 | 3.149.148 | 99,99 |
| ლიტვის სსრ | 2.285.963 | 2.285.766 | 99,99 |
| მოლდავეთის სსრ | 2.567.967 | 2.567.736 | 99,99 |
| ლატვიის სსრ | 1.829.467 | 1.829.285 | 99,99 |
| ყირგიზეთის სსრ | 1.831.026 | 1.830.952 | 99,99 |
| ტაჯიკეთის სსრ | 1.819.892 | 1.819.846 | 99,99 |
| სომხეთის სსრ | 1.684.378 | 1.684.340 | 99,99 |
| თურქმენეთის სსრ | 1.360.718 | 1.360.706 | 99,99 |
| ესტონეთის სსრ | 1.060.478 | 1.060.431 | 99,99 |

## მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების არჩევნების შედეგები

მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების არჩევნების ჩასატარებლად შექმნილი იყო 6.730 საარჩევნო ოლქი. არჩევნები გაიმართა 6.728 საარჩევნო ოლქში. რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ერთ საარჩევნო ოლქსა და ტაჯიკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ერთ საარჩევნო ოლქში არჩევნები არ გამართულა დეპუტატობის კანდიდატების გარდაცვალების გამო.

მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატებს ხმა მისცა 176.447.621 ამომრჩეველმა, რაც 99,93 პროცენტს შეადგენს. დეპუტატობის კანდიდატების წინააღმდეგ ხმა მისცა 118.081 კაცმა. 44 საარჩევნო ბიულეტენი ბათილად ცნეს. ყველამ, ვინც კენჭი იყარა მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატად, მიიღო ხმების აბსოლუტური უმრავლესობა და არჩეულია დეპუტატად.

მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების არჩევნების შედეგები შემდეგია:

| მოკავშირე რესპუბლიკები | დეპუტატობის კანდიდატებს მიეცა ხმა: აბსოლუტური ციფრი | პროცენტი | დეპუტატობის კანდიდატების წინააღმდეგ მიეცა ხმა | ბათილად ცნობილი ბიულეტენების რიცხვი | არჩეულია დეპუტატად |
|---|---|---|---|---|---|
| რუსეთის სფსრ | 97.283.540 | 99,90 | 97.031 | 15 | 974 |
| უკრაინის სსრ | 35.679.374 | 99,98 | 6.829 | — | 650 |
| ბელორუსიის სსრ | 6.693.895 | 99,97 | 2.254 | 4 | 485 |
| უზბეკეთის სსრ | 7.429.068 | 99,98 | 1.315 | 11 | 510 |
| ყაზახეთის სსრ | 8.591.383 | 99,95 | 4.330 | — | 510 |
| საქართველოს სსრ | 3.188.369 | 99,99 | 117 | 1 | 440 |
| აზერბაიჯანის სსრ | 3.149.072 | 99,99 | 76 | — | 450 |
| ლიტვის სსრ | 2.285.367 | 99,98 | 398 | 1 | 350 |
| მოლდავეთის სსრ | 2.566.997 | 99,97 | 739 | — | 380 |
| ლატვიის სსრ | 1.827.792 | 99,92 | 1.482 | 11 | 325 |
| ყირგიზეთის სსრ | 1.829.543 | 99,92 | 1.409 | — | 350 |
| ტაჯიკეთის სსრ | 1.819.455 | 99,98 | 391 | — | 349 |
| სომხეთის სსრ | 1.684.247 | 99,99 | 93 | — | 340 |
| თურქმენეთის სსრ | 1.360.250 | 99,97 | 456 | — | 330 |
| ესტონეთის სსრ | 1.059.269 | 99,89 | 1.161 | 1 | 285 |

მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლეს საბჭოებში არჩეულია 6.728 დეპუტატი, მათ შორის 4.311 მამაკაცი, ანუ 64,1 პროცენტი, 2.417 ქალი, ანუ 35,9 პროცენტი, 4.522 სკკპ წევრი და წევრობის კანდიდატი, ანუ 67,2 პროცენტი, 2.206 უპარტიო, ანუ 32,8 პროცენტი, 2.282 მუშა, ანუ 33,2 პროცენტი, 1.171 კოლმეურნე, ანუ 17,4 პროცენტი, 1.338 30 წლამდე ასაკის ახალგაზრდა, ანუ 19,9 პროცენტი, 964 სრულიად საკავშირო ალკკ წევრი, ანუ 14,3 პროცენტი. დეპუტატთა შემადგენლობა 63,2 პროცენტით განახლდა.

## ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების არჩევნების შედეგები

ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების არჩევნების ჩასატარებლად შექმნილი იყო 3.460 საარჩევნო ოლქი. არჩევნები გაიმართა ყველა საარჩევნო ოლქში.

ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების არჩევნებში მონაწილეობდა 13.642.602 ამომრჩეველი, ანუ 99,98 პროცენტი.

ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატებს ხმა მისცა 13.622.696 ამომრჩეველმა, ანუ 99,85 პროცენტმა. წინააღმდეგ ხმა მისცა 19.906 კაცმა. ყველამ, ვინც კენჭი იყარა დეპუტატობის კანდიდატად, მიიღო ხმების აბსოლუტური უმრავლესობა და არჩეულია დეპუტატად.

ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების არჩევნების შედეგები ასეთია:

| ავტონომიური რესპუბლიკები | დეპუტატობის კანდიდატებს მიეცა ხმა: აბსოლუტური ციფრი | პროცენტი | დეპუტატობის კანდიდატების წინააღმდეგ მიეცა ხმა | ბათილად ცნობილი ბიულეტენები | არჩეულია დეპუტატად |
|---|---|---|---|---|---|
| აფხაზეთის ასსრ | 315.796 | 99,99 | 25 | — | 140 |
| აჭარის ასსრ | 205.933 | 99,99 | 8 | — | 110 |
| ბაშკირეთის ასსრ | 2.458.023 | 99,86 | 3.517 | — | 280 |
| ბურიატეთის ასსრ | 590.080 | 99,87 | 751 | — | 170 |
| დაღესტნის ასსრ | 834.008 | 99,98 | 151 | — | 210 |
| ყაბარდო-ბალყარეთის ასსრ | 414.834 | 99,94 | 253 | — | 160 |
| ყალმუხეთის ასსრ | 181.531 | 99,71 | 537 | — | 130 |
| ყარაყალპაყეთის ასსრ | 402.671 | 99,99 | 24 | — | 185 |
| კარელიის ასსრ | 499.156 | 99,75 | 1.273 | — | 150 |
| კომის ასსრ | 710.102 | 99,89 | 769 | — | 180 |
| მარის ასსრ | 473.953 | 99,88 | 557 | — | 150 |
| მორდვეთის ასსრ | 656.013 | 99,98 | 144 | — | 175 |
| ნახიჩევანის ასსრ | 124.094 | 100,00 | — | — | 110 |
| ჩრდილოეთ ოსეთის ასსრ | 378.882 | 99,93 | 283 | — | 150 |
| თათრეთის ასსრ | 2.279.769 | 99,74 | 5.912 | — | 250 |
| ტუვის ასსრ | 143.356 | 99,91 | 129 | — | 130 |
| უდმურტეთის ასსრ | 978.532 | 99,87 | 1.276 | — | 200 |
| ჩაჩნეთ-ინგუშეთის ასსრ | 643.577 | 99,85 | 945 | — | 175 |
| ჩუვაშეთის ასსრ | 801.448 | 99,71 | 2.368 | — | 200 |
| იაკუტიის ასსრ | 530.938 | 99,82 | 984 | — | 205 |

ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს საბჭოებში არჩეულია 3.460 დეპუტატი, მათ შორის 2.078 მამაკაცი, ანუ 60,1 პროცენტი, 1.382 ქალი, ანუ 39,9 პროცენტი, 2.190 სკკპ წევრი და წევრობის კანდიდატი, ანუ 63,3 პროცენტი, 1.270 უპარტიო, ანუ 36,7 პროცენტი, 1.299 მუშა, ანუ 37,5 პროცენტი, 451 კოლმეურნე, ანუ 13,0 პროცენტი, 793 30 წლამდე ასაკის ახალგაზრდა, ანუ 22,9 პროცენტი, 532 სრულიად საკავშირო ალკკ წევრი ანუ 15,4 პროცენტი. დეპუტატთა შემადგენლობა 66,2 პროცენტით განახლდა.

## სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების არჩევნების შედეგები

არჩევნები გაიმართა სახალხო დეპუტატთა 6 სამხარეო საბჭოში, 121 საოლქო საბჭოში, 8 ავტონომიური ოლქის საბჭოში, 10 ავტონომიური ოკრუგის საბჭოში, 3.075 რაიონულ, 2.059 საქალაქო, 619 ქალაქების რაიონულ, 3.719 სადაბო და 41.374 სასოფლო საბჭოში.

ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის შექმნილი იყო 2.274.861 საარჩევნო ოლქი, მათ შორის: სამხარეო საბჭოების არჩევნების 2.160 საარჩევნო ოლქი, საოლქო საბჭოების — 29.045, ავტონომიური ოლქების საბჭოების — 1.360, ავტონომიური ოკრუგების საბჭოების — 1.075, რაიონული — 252.335, საქალაქო — 282.555, ქალაქების რაიონული — 133.432, სადაბო — 213.024, სასოფლო საბჭოების არჩევნების 1.359.875 საარჩევნო ოლქი.

(დასასრული მე-3 გვ.)

## «სალუტ-6»: ფრენის 29 თვე

ფრენის მართვის ცენტრი, 29 თებერვალი. (საკდესი). გრძელდება „სალუტ-6"-„სოიუზ ტ" ორბიტული კომპლექსის ფრენა. დასახული პროგრამის შესაბამისად მიმდინარეობს გაუმჯობესებული „სოიუზ ტ" სატრანსპორტო ხომალდის, აგრეთვე სადგურის ცალკეული საბორტო სისტემების, მოწყობილობისა და აპარატურის შემდგომი გამოცდა, ფრენის მართვის ცენტრში მიღებულ ინფორმაციას ამუშავებენ და სწავლობენ.

ამჟამად „სალუტ-6"-„სოიუზ ტ" კოსმოსური კომპლექსის ორბიტის პარამეტრებია:

— მაქსიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან — 369 კილომეტრი;

— მინიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან — 343 კილომეტრი;

— გარშემოვლის პერიოდი — 91,5 წუთი;

— დახრილობა — 51,6 გრადუსი.

„სალუტ-6" სამეცნიერო სადგურმა, რომელიც 1977 წლის 29 სექტემბერს გაიყვანეს დედამიწისირგვლივ ორბიტაზე, დღეს 13 საათისათვის მოსკოვის დროით დედამიწას 13915-ჯერ შემოუარა.

ტელემეტრიული ინფორმაციის მონაცემებით, სადგურისა და ხომალდის საბორტო სისტემები ნორმალურად მუშაობს.

## გვირგვინით შეამკეს

1 მარტს თბილისის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების მონაწილეებმა, რომელთა შორის იყვნენ აგრეთვე საქართველოს დედაქალაქის მშრომელებთან შეჯიბრებაში ჩაბმული ქალაქების — ბაქოს, ერევნისა და სვერდლოვსკის წარმოგზავნილნი, — გვირგვინით შეამკეს ვ. ი. ლენინის ძეგლი. მოძმე ქალაქების წარმომადგენლები თბილისში ჩამოვიდნენ აქტივის კრების მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად და 1980 წლის სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულების დასადებად.

მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის ძეგლის გვირგვინით შესამკობად მოვიდნენ პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი თ. ნ. მენთეშაშვილი, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე გ. დ. გაბუნია, საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მეორე მდივანი ნ. ვ. გურგენიძე, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივნები ბ. დ. მახარაშვილი და ნ. შ. ენდელაძე.

(საქინფორმი).

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ს. ვ. დურმიშიძის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

ბიოქიმიის მეცნიერების განვითარებაში, მეცნიერული კადრების მომზადებაში გაწეული ღვაწლისათვის და დაბადების სამოცდაათი წლისთან დაკავშირებით დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი სერგი ვასილის ძე დურმიშიძე ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1980 წლის 29 თებერვალი.

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ვ. მ. ოკუჯავას შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

ფიზიოლოგიის მეცნიერების განვითარებაში, მეცნიერული კადრების მომზადებაში გაწეული ღვაწლისათვის და დაბადების ოთხმოცდაათი წელთან დაკავშირებით დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ვაჟა მიხეილის ძე ოკუჯავა შრომის წითელი დროშის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1980 წლის 29 თებერვალი.



# შრომის დღესასწაული — გამარჯვების დღესასწაული

## ქალაქ თბილისს გარდამავალი წითელი დროშა გადაეცა

საქართველოს დედაქალაქში დიდი და ნათელი დღესასწაული დადგა. ეს არის შრომის დღესასწაული, გამარჯვების დღესასწაული, რომელშიც აკუმულირებულია შემოქმედებითი ენერგია და შრომითი ენთუზიაზმი, პატრიოტული განწყობა და დაუცხრომელი ძიება, ეს არის დღესასწაული, რომელშიც ერთმანეთს შეერწყმის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების დიდი პოლიტიკური, ორგანიზატორული და სამეურნეო საქმიანობა. 1979 წლის სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შედეგების მიხედვით ჩვენი რესპუბლიკის ზედიზედ მეშვიდედ დედაქალაქი თბილისი — მეოთხედ — გამარჯვებულებად და მიენიჭა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშები.

1 მარტს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიმართა ქალაქ თბილისის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება, რომელიც მიეძღვნა თბილისისათვის სამშობლოს ამ მაღალი ჯილდოს გადაცემას. აქ შეიკრიბნენ სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულნი, სამრეწველო საწარმოებისა და მშენებლობების მოწინავენი, მეცნიერებისა და კულტურის თვალსაჩინო მოღვაწენი, ახალგაზრდობის წარმომადგენლები — ისინი, ვინც სჭედდა რესპუბლიკის დედაქალაქის გამარჯვებას მეათე ხუთწლედის მეოთხე წელს.

პრეზიდიუმში იყვნენ ამხანაგები ე. ა. შევარდნაძე, ა. ნ. ინაური, გ. ვ. კოლბინი, ო. თ. ჩერქეზია, თ. ნ. მენთეშაშვილი, ზ. ა. პატარიძე, ჯ. ი. პატიაშვილი, ზ. ა. ჩხეიძე, ს. ე. ხაბეიშვილი, თ. ი. მოსაშვილი, გ. გ. შარტავა, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ბიუროს წევრები და წევრობის კანდიდატები, სახელგანთქმული შრომის ვეტერანები, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული მუშაკები. აქვე იყვნენ ბაქოს, ერევნისა და სვერდლოვსკის — იმ ქალაქების დელეგაციები, რომელთა მშრომელებს ეჯიბრებიან თბილისელები.

კრება შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა თ. ნ. მენთეშაშვილმა.

შეკრებილთა ტაშის გრიალში საპატიო პრეზიდიუმში აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

სიტყვა ეძლევა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ამხანაგ ე. ა. შევარდნაძეს, რომელსაც შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ. მან თქვა:

თბილისელთა ცხოვრებაში ღირსშესანიშნავი დღე დადგა: რესპუბლიკის დედაქალაქს გადაეცემა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა, რომლითაც ქალაქი თბილისი დაჯილდოვდა 1979 წლის სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შედეგების მიხედვით.

რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულებად ცნეს ქალაქ თბილისის კიროვის, პირველი მაისისა და საბურთალოს რაიონები, ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტის, მომსახურების სფეროს 30 საწარმო და მეცნიერებისა და კულტურის დაწესებულება.

ამხანაგმა შევარდნაძემ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს, რესპუბლიკის პროფსაბჭოს და კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის სახელით მხურვალედ და გულითადად მიულოცა შეკრებილთ და მათი სახით ქალაქის ყველა მშრომელს მაღალი ჯილდო.

ძალზე სასიამოვნოა, თქვა შემდეგ ამხანაგმა შევარდნაძემ, რომ ამჯერადაც თბილისელებთან ერთად ჩვენს სიხარულს, ჩვენს ზეიმს იზიარებენ ბაქოს, ერევნისა და სვერდლოვსკის, იმ ქალაქების დელეგაციები, რომლებმაც ასევე გაიმარჯვეს სოციალისტურ შეჯიბრებაში. ეს კარგი, სასიკეთო ტრადიციაა, და დაე, იგი წლითიწლობით მტკიცდებოდეს.

ჩვენ ყველას გულწრფელად გვახარებს, თქვა მან შემდეგ, რომ საქართველოს დედაქალაქს ზედიზედ მეოთხედ მიენიჭა სრულიად საკავშირო წითელი დროშა. ეს კი ნიშნავს, რომ დროშა ამშვენებს მეათე ხუთწლედის ოთხი წლიდან თითოეულს. ეს სახელს მატებს მთელ საქალაქო პარტიულ ორგანიზაციას, პარტიის საქალაქო კომიტეტს, სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს, თბილისის ყველა მშრომელს, თითოეულ თბილისელს: ჩვენში, ჩვენს შრომის ქვეყანაში ხომ გარჯა ასეცაა დასდება! თბილისელები კი მეათე ხუთწლედში, შეიძლება ითქვას, სანაქებოდ ირჯებიან!

(დასასრული მე-2 გვ.)



სურათზე: გარდამავალი წითელი დროშის გადაცემა ქ. თბილისისათვის.
გ. ჯიქაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).



# შრომის დღესასწაული — გამარჯვების დღესასწაული

(დასასრული)

ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ ილაპარაკა ქალაქის მშრომელთა მიერ გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესრულებაში, ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში მიღწეულ წარმატებებზე და აღნიშნა:

ყოველივე ეს შესაძლებლობას გვაძლევს დავასკვნათ, რომ საქალაქო პარტიული ორგანიზაცია წარმატებით წყვეტს მის წინაშე დასახულ ამოცანებს — სულ უფრო ოსტატურად წარმართავს ვითარებას, უძღვება მეურნეობრიობის რთულ, მრავალფეროვან პროცესებს, რესპუბლიკის დედაქალაქის ეკონომიკის ხელმძღვანელობას. პარტიის საქალაქო კომიტეტი და რაიკომები თანამიმდევრულად ახორციელებენ წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის, საწარმოთა რეკონსტრუქციისა და ტექნიკური განახლების, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვის, მომჭირნეობის რეჟიმის გაძლიერების, შრომისა და საწარმოო დისციპლინის განმტკიცების კურსს და ამასთანავე აქტიურ გავლენას ახდენენ მრეწველობის საქმის მდგომარეობაზე, რის შედეგადაც აქტიურად, მთლიანად და გადაჭარბებით ასრულებენ საგეგმო დავალებებს, აუმჯობესებენ თითქმის ყველა რაოდენობრივ და თვისებრივ მაჩვენებელს.

განსაკუთრებით სასიხარულოა აღინიშნოს შარშანდელი მიღწევები. ეს ის წელია, რომელიც XXXVII საქალაქო პარტიული კონფერენციის შემდეგ გავიდა, ის წელია, რომლის შედეგების მიხედვით ქალაქი თბილისი კვლავ დაჯილდოვდა წითელი დროშით.

ეს წარმატებანი, თქვა შემდეგ ამხანაგმა შევარდნაძემ, ორმაგად ახარებს ყოველ ჩვენგანს, იგი სრულიად სამართლიანად გვეამაყება. ყოველივე აქედან შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნა, რომ საქალაქო პარტიული ორგანიზაცია ყურადღებას არ აკლებს XXXVII პარტკონფერენციის გადაწყვეტილებათა შესრულებას, ახორციელებს საქალაქო კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში დასახულ ამოცანებს, სძლევს ნაკლოვანებებს, რომლებიც თავიანთ გამოსვლებში აღნიშნეს დელეგატებმა, წარმატებით ასხამს ხორცს კონკრეტულ ამოცანებს, რომლებიც კონფერენციაზე განსაზღვრა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა.

მაგრამ, მოდით, ნუ გადავუხვევთ ჩვენს წესს და, ლენინის ანდერძისამებრ, დღესაც, ამ საზეიმო დღეს, როცა ქალაქს წითელი დროშა გადაეცემა, მთავარი ყურადღება დავუთმოთ გადაუწყვეტელ საკითხებს, არსებულ ნაკლოვანებებს.

ჩვენი ქალაქი დიდია, ხოლო პარტიული ორგანიზაცია — წამყვანი. დიდ ქალაქსა და დიდ ორგანიზაციას შესაძლებლობაც მეტი აქვთ. მაგრამ ამ შესაძლებლობას ისინი, სამწუხაროდ, მთლიანად, სრულად ვერ იყენებენ. კონფერენციაზე გამოთქმულ ყველა წინადადებასა და შენიშვნას როდი ითვალისწინებენ საქალაქო პარტიული ორგანიზაციის ყოველდღიურ საქმიანობაში.

დღეს გვიხდება იმის თქმა, რომ ჯერ კიდევ ყველა საწარმო, ყველა შრომითი კოლექტივი არ მუშაობს საკმაოდ დაძაბულად. ჯერ-ჯერობით ვერ მიგვიღწევია იმისათვის, რომ არ გვყავდეს ჩამორჩენილები, რომელთა შორის გასულ წელს აღმოჩნდნენ ისეთი დიდი საწარმოო გაერთიანებანი, როგორიც არის თბილისის „ჩარხმშენებელი", „ელმავალმშენებელი" და „საქღვინომანქანა", რომლებმაც გეგმის შესრულებას 8 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების პროდუქცია დააკლეს. ცუდია, რომ 34 საწარმომ შეამცირა ერთ მომუშავეზე გაანგარიშებით პროდუქციის გამომუშავების დონე. პარტიულმა, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებმა, მეტადრე ოქტომბრის, საქარხნო და ლენინის რაიონებში, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმონ საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის შემდგომი ზრდის საკითხებს, უწინარეს ყოვლისა, — შრომის ნაყოფიერების ზრდას.

მეტი ზრუნვა გვმართებს ნაწარმის ნომენკლატურის მიხედვით გეგმის შესრულებისთვისაც. და ამას იმიტომ ვამბობთ, რომ შარშან არ შესრულებულა ლითონსაჭრელი ჩარხების, ელმავლების, ავეჯისა და მთელ რიგ სხვა დიდმნიშვნელოვან სახეობათა პროდუქციის წარმოების გეგმა. ზოგიერთი საწარმო ჯერ კიდევ ვერ ართმევს თავს პროდუქციის რეალიზაციის გეგმას მიწოდების ვალდებულებათა და ხელშეკრულებათა გათვალისწინებით.

ჩვენ უაღრესად დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ თბილისის მრეწველობას, ვინაიდან იგი რესპუბლიკის მრეწველობის მთლიანი პროდუქციის თითქმის მესამედს გვაძლევს. და იმაზე, თუ როგორ გაირჯებიან წელს დედაქალაქის საწარმოები, დიდად არის დამოკიდებული საქართველოს მთელი მრეწველობის მიერ ხუთწლიანი დავალების შესრულება.

ჩვენ გვაქვს ყველა წანამძღვარი საიმისოდ, რომ ხუთწლეულში უზრუნველვყოთ ქალაქში სამრეწველო წარმოების ზრდა 40-41 პროცენტით, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 38,2 პროცენტისა. მაგრამ ამისათვის საჭიროა გამოვუშვათ 40 მილიონი მანეთის დამატებითი პროდუქცია. უდავოდ მოსაწონია ის დიდი მუშაობა, რომელსაც პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოები, სამეცნიერო დაწესებულებანი ეწევიან ქალაქში საზოგადოებრივი წარმოების ზრდის ფარული რეზერვების გამოვლენისა და გამოყენებისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მხურვალედ უჭერს მხარს თბილისის იმ მოწინავე საწარმოებისა და წარმოების ნოვატორების, პარტიული ორგანიზაციების ინიციატივას, რომლებმაც გადაწყვიტეს გამონახონ დამატებითი რეზერვები, რათა გამოუშვან 70 მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია. ეს ძალზე კარგი, ნამდვილად პატრიოტული თაოსნობაა. და პარტიის საქალაქო კომიტეტმა, რაიკომებმა, კომუნისტებმა, მშრომელებმა ყველაფერი უნდა იღონონ, რათა რაც შეიძლება სრულად გამოავლინონ და მაქსიმალური ეფექტიანობით გამოიყენონ არსებული რეზერვები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVIII პლენუმზე, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის ნოემბრის პლენუმის შედეგებსა და პლენუმის გადაწყვეტილებათა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვაში დასახული მითითებების შესასრულებლად რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ამოცანებს მიეძღვნა, ჩვენ ვთქვით, რომ ხუთწლედის მანძილზე მთლიანად რესპუბლიკაში მრეწველობის პროდუქციის მოცულობის 41 პროცენტით გადიდებისათვის საჭიროა 1980 წელს ვაწარმოოთ 150 მილიონი მანეთის ზეგეგმითი სამრეწველო პროდუქცია. შემდეგ გარემოებები შეიცვალა და იმისათვის, რომ ხუთწლედი შევასრულოთ, ახლა ჩვენს წინაშე დგას ამოცანა გამოვუშვათ გეგმის გადამეტებით 200 მილიონი მანეთის პროდუქცია. როგორც ხედავთ, ამ პროდუქციის ნახევარზე მეტი თბილისის წილად მოდის. და ეს შეესაბამება დედაქალაქის ხვედრითს წილს რესპუბლიკის მრეწველობის პროდუქციის წარმოების საერთო მოცულობაში.

ჩვენ გამოვთქვამთ მტკიცე რწმენას, რომ თბილისის მუშათა კლასი, განაგრძობს რა თბილისის პროლეტარიატის სახელოვან საბრძოლო და შრომითს ტრადიციებს, ხაზი გაუსვა ამხანაგმა შევარდნაძემ, პირნათლად გაართმევს თავს ამ ამოცანასაც და თავის ღირსეულ წვლილს შემატებს საერთო-რესპუბლიკურ ყულაბას! ამ რწმენის საფუძველი ის არის, რომ თბილისელებმა შინაგანი რეზერვების ხარჯზე ხუთწლედის ოთხი წლის განმავლობაში 209 მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია გამოუშვეს.

გისურვებთ, ძვირფასო ამხანაგებო, რეალურ, პრაქტიკულ საქმეებად აქციოთ ხუთწლედის დამამთავრებელი წლისათვის ნაკისრი ვალდებულებანი — შეასრულოთ რეალიზაციის მოცულობისა და მეტწილ უმნიშვნელოვანეს სახეობათა ნაწარმის გამოშვების წლიური გეგმა 27 დეკემბრისათვის, ხოლო ხუთწლედის დავალებანი — 25 ნოემბრისათვის, გაზარდოთ სამრეწველო წარმოება სულ ცოტა 7,8 პროცენტით; გაადიდოთ ხარისხისნიშნიანი ნაწარმის გამოშვება 1.100 დასახელებამდე, რათა მათი ხვედრითი წილი 22 პროცენტამდე გაიზარდოს; წარმოებაში დანერგოთ 2.800 რაციონალიზატორული წინადადება, რაც სულ ცოტა 10 მილიონ მანეთს დაგაზოგვინებთ; მიაღწიოთ ელექტროენერგიისა და პირობითი სათბობის, შავი და ფერადი ლითონების მნიშვნელოვან ეკონომიას, რკინიგზისა და საავტომობილო ტრანსპორტით სახალხო-სამეურნეო ტვირთის ზეგეგმითს გადაზიდვას.

დიდი მუშაობა მოგვიწევთ კაპიტალური მშენებლობის დარგში, თუმცა აქ უკანასკნელი წლების მანძილზე ბევრი რამ გაკეთდა. მაგალითად, ოთხი წლის მანძილზე ამოქმედებულია თითქმის 50 პროცენტით მეტი ძირითადი ფონდები, ვიდრე მეცხრე ხუთწლედის ამავე პერიოდში, მაგრამ ოთხი წლის გეგმა ამ მაჩვენებლის მიხედვით მხოლოდ 89 პროცენტით შესრულდა; აუმოქმედებელი დარჩა 148 მილიონი მანეთის ძირითადი ფონდები. ანდა, გასულ წელს გეგმის გადამეტებით საექსპლოატაციოდ გადაეცა 18 ათასი კვადრატული მეტრი ფართობის საცხოვრებელი ბინები, ამასთანავე არ არის ათვისებული ამ მიზნით გამოყოფილი 5 მილიონი მანეთი კაპიტალური დაბანდება. და პირველი წელი როდია, რაც ასე ხდება.

ძალზე მწვავე და პრინციპული სჯა-ბაასი გაიმართა საბინაო მშენებლობის მდარე ხარისხის შესახებ XXXVII საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე, მაგრამ ამ საქმეში დიდი გარდატეხა ჯერ კიდევ არ მომხდარა. უფრო მეტიც, ბინების ხარისხის მაჩვენებლები ზოგან გაუარესდა კიდეც.

სულ უფრო უმჯობესდება ქალაქის გარეგანი იერსახე, კერძოდ, თვალს ახარებს ბარათაშვილის ქუჩაზე რესტავრირებული ძველი თბილისის კუთხე. ჩვენი დედაქალაქის ყველა რაიონში გამრავლდა ბაღები, სკვერები, ლამაზი ქუჩები. მაგრამ ჯერ კიდევ ძალზე ბევრი რამ გვაქვს გასაკეთებელი იმისათვის, რომ სათანადოდ კეთილმოვაწყოთ ჩვენი მშობლიური ქალაქი. მეტი მზრუნველობა გვმართებს საბინაო ფონდის მოვლა-დაცვისათვის, მოსახლეობის მომსახურების კულტურის ამაღლებისათვის, უნდა გადავჭრათ წყალმომარაგების, თბომომარაგების, ელექტრომომარაგების, გაზმომარაგების პრობლემები, აღმოვფხვრათ ამ საქმეში არსებული სერიოზული ნაკლოვანებანი, უზრუნველვყოთ მოქალაქეთა შეუფერხებელი მომარაგება ცხელი წყლით; ქალაქს ნიადაგ უნდა ვეხმარებოდეთ სატრანსპორტო სქემის სრულყოფის საქმეში.

XXXVII საქალაქო პარტკონფერენციაზე ჩვენ კმაყოფილებით აღვნიშნეთ, რომ საქალაქო ალმასკომში მოვიდნენ ახალი ამხანაგები, ენერგიული, ინიციატივიანი მუშაკები, ამასთანავე გამოვთქვით იმედი, რომ ისინი თავს გაართმევენ დაკისრებულ ამოცანას, მთელ თავიანთ ძალღონეს, ენერგიას, მონდომებას მოახმარენ იმას, რომ თბილისი კიდევ უფრო დამშვენდეს და კეთილმოეწყოს, მართლაც რომ სანიმუშო დედაქალაქი გახდეს. უფრო მეტიც, მაშინ ვთქვით, რომ ამხანაგები დაკისრებულ საქმეს მთელი პასუხისმგებლობით მოეკიდნენ. და ამ ამხანაგებს ალბათ ესმით, რომ ეს ქათინაურები გარკვეულწილად ავანსად ვუთხარით. ცვლილებები, რა თქმა უნდა, არის, მაგრამ — ერთობ მოკრძალებული.

ჩვენ მაშინ ხაზგასმით აღვნიშნეთ, რომ პარტიის ცენტრალური კომიტეტი, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო საჭირო მხარდაჭერას, დახმარებას გაუწევენ საქალაქო ორგანიზაციებს, და რომ ჩვენი მომთხოვნელობა ამასთანავე გაცილებით უფრო მაღალი იქნება.

მოგახსენებათ, ჩვენი სიტყვა და საქმე ერთია. ყოველ შემთხვევაში, ერთი უნდა იყოს. და ყოველივე, რაც დღეს ვთქვით, საქალაქო ალმასკომის, განსაკუთრებით რაიალმასკომების, მათი შესაბამისი სამსახურების მიმართ გამოთქმული სერიოზული საყვედურები უნდა ჩამოგვართვათ იმად, რომ ჩვენ შევასრულეთ ჩვენი დაპირება და ავამაღლეთ მომთხოვნელობა. ჩვენ კვლავაც ამ პოზიციაზე ვიდგებით. რაც შეეხება მხარდაჭერას, ჩვენ მზად ვართ კვლავაც გაგიწიოთ საჭირო დახმარება.

საქალაქო სამსახურების მუშაობას ჯერ კიდევ აკლია სათანადო სიზუსტე, ოპერატიულობა, მობილურობა, სისტემურობა. მთელ რიგ შემთხვევებში ნელა ან, ხშირად, ნაწილობრივ წყდება დიდმნიშვნელოვანი საკითხები, რომელთა გადადება შეუწყნარებელია. საბინაო-კომუნალური სამსახურების მუშაობაში ჯერ კიდევ არ აღმოფხვრილა ბიუროკრატიზმის, მოქალაქეთა საჭიროებებისა და მოთხოვნებისადმი უსულგულო, ფორმალური დამოკიდებულების ფაქტები. ამას მოწმობს მშრომელთა მრავალი წერილი და საჩივარი, რომლებსაც ისინი უგზავნიან სხვადასხვა ინსტანციას, კერძოდ, პარტიის ცენტრალურ კომიტეტსაც.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს საბინაო ფონდის შეკეთებასა და მოვლა-დაცვას, თქვა შემდეგ ამხანაგმა შევარდნაძემ. უნდა დაჩქარდეს იმ დადგენილების განხორციელება, რომლის თანახმადაც საჭიროა შეიქმნას დიდი საბინაო-საექსპლოატაციო და სარემონტო-სამშენებლო ორგანიზაციები მრავალი წვრილ-წვრილი დაქსაქსული სახლთმმართველობების ნაცვლად, რომლებსაც არ მოეპოვებათ საკმარისი სახსრები და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ვგონებ, ასეთი გამსხვილება დაგვეხმარება იმ საქმეში, რომ ფართო მასშტაბით ვაწარმოოთ სახლების კომპლექსური რემონტი და ბინების ხელახალი დაგეგმარება, ვიქონიოთ სამანევრო საბინაო ფონდი, აღვკვეთოთ კაპიტალური რემონტისათვის გამოყოფილი სახსრების დაქსაქსვა მრავალ სხვადასხვა ობიექტზე, როგორც, მაგალითად, შარშან ხდებოდა.

წყალმომარაგებაში წესრიგის დასამყარებლად, ალბათ, ასევე მიზანშეწონილია ვიზრუნოთ იმისათვის, რომ სახლშიდა ქსელებისა და სანტექმომსახურების მოწყობილობის მომსახურებასთან დაკავშირებული საკითხები საბინაო მომსახურების სამმართველოს გამგებლობიდან გადაეცეს „თბილწყალკანალიზაციის" გამგებლობას, რათა ქალაქის წყალმომარაგების პოლიტიკას, წყლის მოპოვებით დაწყებული და მისი რეალიზაციით დამთავრებული, ერთი პატრონი, ერთი სამსახური უძღვებოდეს.

ჯერ კიდევ არ გვაკმაყოფილებს საერთოდ ქალაქის, კერძოდ, მოედნების, ქუჩის ტროტუარების, სავალი ნაწილის, ეზოების და განსაკუთრებით ქადარბაზოების სანიტარიული მდგომარეობა. ნორმალურად ვერ მივიჩნევთ იმას, რომ გამოყოფილი დაფინანსება მხოლოდ სანახევროდ უზრუნველყოფს თბილისის ქუჩების დაგვა-დასუფთავებას. ეს ნიშნავს, რომ ჩვენ წინასწარვე ვურიგდებით მეორე ნახევრის ანტისანიტარიულ მდგომარეობას. და აქაც, ალბათ, საჭიროა მინისტრთა საბჭოს, ფინანსთა სამინისტროს, სხვა რესპუბლიკური ორგანოების ყველაზე სერიოზული ჩარევა. ვერა და ვერ დაიდგა საშველი გრანიტის ქვაფენილის ქუჩების მშენებლობისა და რეკონსტრუქციის საქმეს, თუმცა ამის შესახებ არაერთგზის გვიმსჯელია. მეტი მუშაობა გვმართებს ქალაქის მწვანე მეურნეობის გასაუმჯობესებლად; უფრო ფართოდ უნდა ჩავაბათ გამწვანების საქმიანობებში მოსახლეობა, უწინარეს ყოვლისა, ახალგაზრდობა, მთელი ჩვენი საზოგადოებრიობა.

ჯერ კიდევ არ დამყარებულა სათანადო წესრიგი საქალაქო ტრანსპორტის, სატელეფონო კავშირგაბმულობის მუშაობაში, რაც ასევე იწვევს მოქალაქეთა სერიოზულ უკმაყოფილებას. ლამის ყოველდღიურად ვაწყდებით ისეთ ფაქტებს, როცა მგზავრებს დიდხანს უხდებათ ლოდინი გაჩერებაზე, განსაკუთრებით პიკ-საათებში, უხეშად ირღვევა სატრანსპორტო მომსახურების გრაფიკები, უმთავრესად მუშათა დასახლებებში, დადის გაჭედილი ავტობუსები, ბევრი უბილეთოდ მგზავრობს, გზის ფულს მძღოლები იღებენ. შემოწმებამ ცხადყო, რომ ყოველდღიურად ყოველი მეხუთე ტროლეიბუსი და ავტობუსი და ყოველი მესამე ტრამვაი გრაფიკზე ადრე ბრუნდება გარაჟსა და დეპოში ტექნიკური უწესივრობის გამო.

ცოტა რამ თუ შეიცვალა წლის მანძილზე კავშირგაბმულობის საწარმო-ორგანიზაციათა მუშაობაშიც, და ამას განსაკუთრებით ვუსვამ ხაზს. ისევ ისე ცუდად მუშაობს სატელეფონო კავშირგაბმულობა, მოქალაქეებს ძალზე დიდხანს უხდებათ უწესივრობის გამოსწორების ლოდინი, არ იგრძნობა სათანადო სიზუსტე სააბონენტო სამსახურების მუშაობაში, საათობით ყოვნდება შეკვეთების შესრულება თბილისის საქალაქთაშორისო სადგურში, ცნობათა ბიუროში დარეკვა ხომ პირდაპირ შეუძლებელია, ირღვევა ტელეფონების დადგმის რიგითობა და ა. შ.

მიუხედავად იმისა, რომ ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებმა საერთოდ წარმატებით შეასრულეს საგეგმო დავალებანი და სოციალისტური ვალდებულებანი, ჯერ კიდევ მრავლად არის სერიოზული ნაკლოვანებანი ამ სფეროშიც, განსაკუთრებით ვაჭრობისა და მოსახლეობის მომსახურების კულტურაში. წლიური გეგმა ვერ შეასრულა ქალაქის ვაჭრობის ყოველმა მეხუთე საწარმომ და საყოფაცხოვრებო მომსახურების ყოველმა მეოთხე საწარმომ. არ იგრძნობა საგრძნობი ძვრები საავადმყოფოების, მუშათა და სტუდენტთა სასადილოების, სკოლის ბუფეტების მუშაობას, დიეტური კვების ორგანიზაციას, ჯერ კიდევ ხშირია მომხმარებელთა ზომაწონაში და ანგარიშში მოტყუების, საყოფაცხოვრებო მომსახურების მდარეხარისხოვნად შესრულების შემთხვევები.

ყველაზე მეტად გვაწუხებს საზოგადოებრივი წესრიგის მდგომარეობა. რა თქმა უნდა, ქალაქში ბევრი რამ გაკეთდა. ქების მეტი არაფერი გვეთქმის იმის თაობაზე, რომ საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისა და ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის პარტიული ხელმძღვანელობის სრულყოფის საკითხებისადმი მიძღვნილი პარტიული აქტივის რესპუბლიკური კრების მეორე დღესვე ასეთივე კრება გაიმართა ქალაქში, და ეს ფრიად საქმიანი, კარგი კრება იყო. ამოცანა ახლა ის არის, რომ ხორცი შევასხათ ყველა დასახულ ღონისძიებას, გავაძლიეროთ ბრძოლა მექრთამეობის, ბიუროკრატიზმის, საქმის გაჭიანურების, ხულიგნობის წინააღმდეგ, დავამყაროთ თბილისში სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგი. განსაკუთრებით გვაფიქრებს ქონებრივი დანაშაულობების — ქურდობისა და ძარცვის მაღალი დონე. შარშან, წინა წელთან შედარებით, გაიზარდა მოქალაქეთა პირადი ქონების მოპარვის შემთხვევები, განსაკუთრებით გახშირდა ბინის გატეხვა.

სულ ცოტა ხნის წინათ ამ საკითხებზე ჩვენ ძალზე მწვავე სჯა-ბაასი გვქონდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომაზე. გამოითქვა კატეგორიული მოთხოვნა, რომ საჭიროა დაუყოვნებლივ განხორციელდეს ღონისძიებანი, რათა ბოლო მოეღოს ქურდობას, ბინების გატეხვას. ამ ბრძოლაში ლიბერალიზმი არ უნდა დავაჭაჭანოთ. არადა, ზოგან იგი კიდევ იჩენს ხოლმე თავს. ჩვენი მუშათა კლასის, ჩვენი ინტელიგენციის, მთელი ჩვენი საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს საჭიროდ მიაჩნიათ გადაჭრით მოეღონ ბოლო დაუსჯელობის ელემენტებს, რომლებითაც ხშირად სარგებლობენ დამნაშავეები, მუქთახორები.

ამ საკითხში ჩვენი პოზიცია გარკვეულია: არავითარი დანდობა ქურდებს, მართლწესრიგის სხვა დამრღვევებს, ხაზი გაუსვა ამხანაგმა შევარდნაძემ. ყოვლისშემწყნარებლობა დამნაშავეების მიმართ ანტიჰუმანურია მთელი ჩვენი საზოგადოების, პატიოსანი ადამიანის მიმართ და ეს არ უნდა დაგვავიწყდეს.

ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე უნდა ავიყვანოთ ადმინისტრაციული ორგანოების მუშაობა. ამ ცოტა ხნის წინათ ჩვენ განვამტკიცეთ ქალაქ თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს ხელმძღვანელობა, კერძოდ, გავგზავნეთ იქ გამოცდილი, საქმეში ჩახედული პარტიული მუშაკი — ამხ. გ. შ. კვანტალიანი.

შემდეგ ამხანაგმა შევარდნაძემ თქვა:

ერთი წლის წინათ ჩვენ შესაძლებლობა მოგვეცა თბილისის XXXVII საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე გამოვსულიყავით და გამოგვეთქვა ბევრი კრიტიკული შენიშვნა საქალაქო კომიტეტის, მთელი საქალაქო პარტიული ორგანიზაციის, ქალაქის ხელისუფალთა მიმართ. იმედი გვაქვს, რომ ასეთი შესაძლებლობა XXXVIII კონფერენციაზეც მოგვეცემა. მაგრამ ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ შემდეგ კონფერენციაზე სერიოზული კრიტიკული შენიშვნების საფუძველი ნაკლებად გვექნება. ეს კონფერენცია ხომ საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის წინ შეიკრიბება.

ჩვენ, ამხანაგებო, უკვე გადავაბიჯეთ 80-იანი წლების, იმ წლების ზღურბლს, რომლებიც, როგორც ამხანაგმა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა თქვა თავის არჩევნებისწინა სიტყვაში, კომუნისტური მშენებლობის ახალ წარმატებათა წლები იქნება.

ჩვენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობისათვის აქტიური მზადების წელი დაგვიდგა. და ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის პარტიული ორგანიზაციის ამოცანაა ამთავითვე შექმნას მაღალი მომთხოვნელობისა და მომკითხველობის ვითარება, მასების ინიციატივის ფართოდ განვითარების ატმოსფერო, ვინაიდან მხოლოდ ასეთ ვითარებაში, ასეთ ატმოსფეროში შეიძლება ყველაზე წარმატებით განხორციელდეს პარტიის წინასწარდასახულობანი — განვაგრძოთ და დავამთავროთ მთელი ჩვენი ეკონომიკის შემობრუნება ინტენსიური განვითარების, ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლების, სამეურნეო საქმიანობის საბოლოო შედეგების უმთავრესი გათვალისწინების მიმართულებით, რაც პარტიის ეკონომიკური სტრატეგიის ღერძს წარმოადგენს.

ჩვენ ყველამ კიდევ უფრო თანამიმდევრულად და მიზანდასახულად უნდა შევასხათ ხორცი სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს, კიდევ უფრო მტკიცედ, კიდევ უფრო ენერგიულად გავატაროთ პარტიის ეკონომიკური პოლიტიკა, ამისათვის კი, მეორე მხრივ, საჭიროა კიდევ უფრო მეტად ავამაღლოთ მართვის დონე ყველა რგოლში, გავაუმჯობესოთ სამეურნეო მექანიზმი, გავაძლიეროთ პასუხისმგებლობა, განვამტკიცოთ დისციპლინა ყველა სამუშაო ადგილზე, ჩვენი საქმიანობის ყველა უბანზე.

„ჩვენ ყველა საფუძველი გვაქვს მშვიდად და იმედიანად შევყურებდეთ მომავალს", — თქვა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა ამომრჩეველთა წინაშე გამოსვლისას.

და დღეს მტკიცედ შეგვიძლია განვაცხადოთ: საბჭოთა ადამიანები სწორედ ასე იქცევიან! საბჭოთა ხალხი სწორედ ასე ცხოვრობს! ჩვენ მშვიდად და იმედიანად შევყურებთ მომავალს! და ამ მომავლისაკენ მტკიცედ მივიწევთ დიდი ლენინის დროშით.

მთელი ქვეყნის, მთელი რესპუბლიკის მხარდამხარ მიაბიჯებს წინ ჩვენი სახელოვანი თბილისი, რევოლუციური ოპტიმიზმის სულისკვეთებით ფრთაშესხმული თბილის-ქალაქი.

ამ ოპტიმიზმის წყაროა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და მისი მეთაურის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ბრძნული საშინაო და საგარეო პოლიტიკა.



ს. ხეჩინაშვილი.

## ჩვენი ინტერვიუ

# დაფასებული ღვაწლი

თბილისის ექიმთა დახელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტის ოტოლარინგოლოგიის კათედრის გამგე, ლენინური პრემიის ლაურეატი, პროფესორი სიმონ ხეჩინაშვილი და მოსკოვის კარდიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი იგორ შხვაცაბაია არჩეული არიან სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრებად. აი რა უთხრეს მეცნიერებმა გაზეთ „კომუნისტის" კორესპონდენტს:



ი. შხვაცაბაია.

### სიმონ ხეჩინაშვილი:

ცხადია, მოხარული ვარ ამ დიდი დაფასებისა და მიმაჩნია, რომ ეს მთელი ჩვენი ინსტიტუტის კოლექტივის გამარჯვებაც არის. ამ გამარჯვებისათვის კი ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ ჩინებული პირობები შეგვიქმნა. ამჟამად ვმუშაობთ ისეთ შესანიშნავ შენობაში, რომელიც ჩვენს დარგში ყველაზე უკეთ აღჭურვილი კლინიკური დაწესებულებაა მთელ კავშირში.

კლინიკაში ურთულესი ოპერაციები კეთდება და სმენის ორგანოს გამოკვლევის თვალსაზრისით სერიოზული კვლევა მიმდინარეობს. ამ მიზნით ვიყენებთ უახლეს ტექნიკურ საშუალებებს და ელექტრონულ-გამომთვლელ მანქანებსაც კი. კლინიკაში გამოცდილ სპეციალისტებს მხარს უმშვენებენ ნიჭიერი ახალგაზრდები, რომელთა სახელებიც გასცდა რესპუბლიკის ფარგლებს.

სამედიცინო აკადემიის ნამდვილ წევრად არჩევა მარტო კოლეგების დაფასებად კი არა, ჩვენი ხალხის დიდი ნდობის გამოხატულებად მიმაჩნია, რაც უზომოდ ბევრს მავალებს. ვეცდები ნდობა გავამართლო და ჩემს კოლექტივთან ერთად წარმატებით განვახორციელო ჩვენი უპირველესი მიზანი — კიდევ უფრო სრულვყოთ ახალი ტიპის მიკროქირურგიული ოპერაციები და სმენის ორგანოს გამოკვლევის თანამედროვე მეთოდები.

### იგორ შხვაცაბაია:

უდიდესი სიხარულის გრძნობა მეუფლება, რომ საქართველოს მშრომელები პირველნი გამოეხმაურნენ ჩემს არჩევას მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად.

ვფიქრობ, რომ ამ აღიარებაში მარტო ჩემი წვლილი კი არა, ჩემი მოწაფეებისა და კარდიოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომელთა დამსახურებაც არის. ამ ინსტიტუტს ხომ უკვე 15 წელია ვხელმძღვანელობ.

როგორც პირადად მე, ისე კარდიოლოგიის ინსტიტუტის მთელ კოლექტივს სასარგებლო ურთიერთობა გვაკავშირებს ქართველ კარდიოლოგებთან. რესპუბლიკას ხომ შესანიშნავი და საამაყო სპეციალისტები ჰყავს ამ დარგში. ვიმედოვნებ, რომ ეს ურთიერთობა მომავალში კიდევ უფრო ნაყოფიერი გახდება ჩვენი ხალხის ჯანმრთელობის საკეთილდღეოდ.

ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ამ ერთი წლის წინათ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატთან, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანთან ამხ. შევარდნაძესთან საუბარმა, რომელიც ეხებოდა რესპუბლიკის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესებისა და პროფილაქტიკის პრობლემებს.

დიდი მადლობა ყველას, ვინც ჩემი სიხარული გაიზიარა, მადლობა ჩვენს მთავრობას, რომლის ყურადღებასა და მზრუნველობას მუდამ ვგრძნობთ.

# ცნობა

## მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოებისა და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების არჩევნების შედეგების შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

(დასასრული).

სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების არჩევნებში ამომრჩეველთა მონაწილეობას ახასიათებს შემდეგი მონაცემები:

| საბჭოები | სულ ამომრჩევლები | არჩევნებში მონაწილეობდა | პროცენტობით |
|---|---|---|---|
| სამხარეო | 11.899.138 | 11.896.590 | 99,98 |
| საოლქო | 119.506.319 | 119.487.616 | 99,98 |
| ავტონომიური ოლქების საბჭოები | 1.307.558 | 1.307.320 | 99,98 |
| ავტონომიური ოკრუგების საბჭოები | 927.723 | 927.334 | 99,96 |
| რაიონული | 79.595.826 | 79.585.883 | 99,99 |
| საქალაქო | 106.724.640 | 106.705.068 | 99,98 |
| ქალაქების რაიონული | 57.093.119 | 57.082.015 | 99,98 |
| სადაბო | 15.929.727 | 15.926.783 | 99,98 |
| სასოფლო | 60.837.057 | 60.830.642 | 99,99 |

სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების არჩევნების შედეგები ასეთია:

| საბჭოები | დეპუტატობის კანდიდატებს მიეცა ხმა: აბსოლუტური ციფრი | პროცენტი | დეპუტატობის კანდიდატების წინააღმდეგ მიეცა ხმა | ბათილად ცნობილი ბიულეტენების რიცხვი | არჩეულია დეპუტატი |
|---|---|---|---|---|---|
| სამხარეო | 11.886.350 | 99,91 | 10.240 | — | 2.160 |
| საოლქო | 119.391.576 | 99,92 | 96.026 | 14 | 29.042 |
| ავტონომიური ოლქების საბჭოები | 1.306.296 | 99,92 | 1.024 | — | 1.360 |
| ავტონომიური ოკრუგების საბჭოები | 925.910 | 99,85 | 1.424 | — | 1.075 |
| რაიონული | 79.527.540 | 99,93 | 58.315 | 28 | 252.320 |
| საქალაქო | 106.586.346 | 99,89 | 118.692 | 30 | 282.542 |
| ქალაქების რაიონული | 57.008.868 | 99,87 | 73.145 | 2 | 133.428 |
| სადაბო | 15.907.038 | 99,88 | 19.745 | — | 213.008 |
| სასოფლო | 60.764.156 | 99,89 | 66.480 | 6 | 1.359.764 |

ყველა ადგილობრივ საბჭოში არჩეულია 2.274.699 დეპუტატი, მათ შორის: 1.147.694 მამაკაცი, ანუ 50,5 პროცენტი, 1.127.005 ქალი, ანუ 49,5 პროცენტი, 979.805 სკკპ წევრი და წევრობის კანდიდატი, ანუ 43,1 პროცენტი, 1.294.894 უპარტიო, ანუ 56,9 პროცენტი, 985.896 მუშა, ანუ 43,3 პროცენტი, 576.665 კოლმეურნე, ანუ 25,4 პროცენტი, 757.720 30 წლამდე ასაკის ახალგაზრდა, ანუ 33,3 პროცენტი, 479.175 სრულიად საკავშირო ალკკ წევრი, ანუ 21,1 პროცენტი. დეპუტატების შემადგენლობა 46,7 პროცენტით განახლდა.

77 საარჩევნო ოლქში (65 სასოფლო საბჭოს არჩევნების, 8—სადაბო, 2—საქალაქო, 2—რაიონული საბჭოების არჩევნების) დეპუტატობის კანდიდატებმა ვერ მიიღეს შესაბამისი საარჩევნო ოლქების ყველა ამომრჩევლის ხმების ნახევარზე მეტი და არ არიან არჩეული დეპუტატებად.

79 საარჩევნო ოლქში არჩევნები არ გამართულა კანდიდატთა გამოკლების გამო.

6 საარჩევნო ოლქში არჩევნები [illegible] შესახებ კანონების დარღვევის გამო.

ამ ოლქებში ხელმეორედ გამართება არჩევნები.

მოკავშირე რესპუბლიკებისა და საბჭოების მიხედვით არჩეულ ადგილობრივი საბჭოების დეპუტატთა შემადგენლობას ახასიათებს შემდეგი მონაცემები:

| | სულ არჩეულია დეპუტატი | მამაკაცები | პროცენტობით | ქალები | პროცენტობით | სკკპ წევრები და წევრობის კანდიდატები | პროცენტობით | უპარტიოები | პროცენტობით | მუშები | პროცენტობით | კოლმეურნეები | პროცენტობით | 30 წლამდე ასაკის ახალგაზრდა | პროცენტობით | სრულიად საკავშირო ალკკ წევრი | პროცენტობით |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სსრ კავშირში | 2.274.699 | 1.147.694 | 50,5 | 1.127.005 | 49,5 | 979.805 | 43,1 | 1.294.894 | 56,9 | 985.896 | 43,3 | 576.665 | 25,4 | 757.720 | 33,3 | 479.175 | 21,1 |
| მოკავშირე რესპუბლიკები | | | | | | | | | | | | | | | | | |
| რუსეთის სფსრ | 1.134.434 | 562.126 | 49,6 | 572.308 | 50,4 | 479.091 | 42,2 | 655.343 | 57,8 | 542.569 | 47,8 | 216.945 | 19,1 | 380.057 | 33,5 | 240.179 | 21,2 |
| უკრაინის სსრ | 524.185 | 270.986 | 51,7 | 253.199 | 48,3 | 234.521 | 44,7 | 289.664 | 55,3 | 176.569 | 33,7 | 204.184 | 39,0 | 168.089 | 32,1 | 105.356 | 20,1 |
| ბელორუსიის სსრ | 84.777 | 43.276 | 51,0 | 41.501 | 49,0 | 36.696 | 43,3 | 48.081 | 56,7 | 33.952 | 40,0 | 24.118 | 28,4 | 27.780 | 32,8 | 17.754 | 20,9 |
| უზბეკეთის სსრ | 101.976 | 52.584 | 51,6 | 49.392 | 48,4 | 45.411 | 44,5 | 56.565 | 55,5 | 37.274 | 36,6 | 33.260 | 32,6 | 35.438 | 34,8 | 21.112 | 20,7 |
| ყაზახეთის სსრ | 125.622 | 64.161 | 51,1 | 61.461 | 48,9 | 50.986 | 40,6 | 74.636 | 59,4 | 74.327 | 59,2 | 11.612 | 9,2 | 41.149 | 32,8 | 26.081 | 20,8 |
| საქართველოს სსრ | 50.468 | 25.619 | 50,8 | 24.849 | 49,2 | 21.722 | 43,0 | 28.746 | 57,0 | 19.605 | 38,8 | 14.582 | 28,9 | 16.133 | 32,0 | 10.508 | 20,8 |
| აზერბაიჯანის სსრ | 49.804 | 25.924 | 52,1 | 23.880 | 47,9 | 21.996 | 44,2 | 27.808 | 55,8 | 21.220 | 42,6 | 12.272 | 24,6 | 15.815 | 31,8 | 10.102 | 20,3 |
| ლიტვის სსრ | 28.366 | 14.346 | 50,6 | 14.020 | 49,4 | 12.277 | 43,3 | 16.089 | 56,7 | 10.476 | 36,9 | 8.585 | 30,3 | 9.793 | 34,5 | 6.291 | 22,2 |
| მოლდავეთის სსრ | 36.656 | 18.409 | 50,2 | 18.247 | 49,8 | 16.529 | 45,1 | 20.127 | 54,9 | 12.545 | 34,2 | 13.145 | 35,9 | 14.194 | 38,7 | 9.407 | 25,7 |
| ლატვიის სსრ | 23.401 | 11.877 | 50,8 | 11.524 | 49,2 | 10.935 | 46,7 | 12.466 | 53,3 | 9.431 | 40,3 | 6.199 | 26,5 | 8.011 | 34,2 | 5.047 | 21,6 |
| ყირგიზეთის სსრ | 27.605 | 13.795 | 50,0 | 13.810 | 50,0 | 11.657 | 42,2 | 15.948 | 57,8 | 12.076 | 43,7 | 7.016 | 25,4 | 9.979 | 36,1 | 7.427 | 26,9 |
| ტაჯიკეთის სსრ | 26.095 | 13.308 | 51,0 | 12.787 | 49,0 | 11.249 | 43,1 | 14.846 | 56,9 | 10.407 | 39,9 | 7.795 | 29,9 | 10.395 | 39,8 | 6.277 | 24,1 |
| სომხეთის სსრ | 27.065 | 13.743 | 50,8 | 13.322 | 49,2 | 11.722 | 43,3 | 15.343 | 56,7 | 13.093 | 48,4 | 5.790 | 21,4 | 9.115 | 33,7 | 6.476 | 23,9 |
| თურქმენეთის სსრ | 23.235 | 11.938 | 51,4 | 11.297 | 48,6 | 10.064 | 43,3 | 13.171 | 56,7 | 7.093 | 30,5 | 9.011 | 38,8 | 7.791 | 33,5 | 4.681 | 20,1 |
| ესტონეთის სსრ | 11.010 | 5.602 | 50,9 | 5.408 | 49,1 | 4.949 | 45,0 | 6.061 | 55,0 | 5.259 | 47,8 | 2.151 | 19,5 | 3.981 | 36,2 | 2.477 | 22,5 |
| საბჭოები | | | | | | | | | | | | | | | | | |
| სამხარეო | 2.160 | 1.124 | 52,0 | 1.036 | 48,0 | 1.159 | 53,7 | 1.001 | 46,3 | 1.019 | 47,2 | 233 | 10,8 | 818 | 37,9 | 537 | 24,9 |
| საოლქო | 29.042 | 15.443 | 53,2 | 13.599 | 46,8 | 16.037 | 55,2 | 13.005 | 44,8 | 12.198 | 42,0 | 4.171 | 14,4 | 10.003 | 34,4 | 7.270 | 25,0 |
| ავტონომიური ოლქების საბჭოები | 1.360 | 718 | 52,8 | 642 | 47,2 | 718 | 52,8 | 642 | 47,2 | 650 | 47,8 | 117 | 8,6 | 497 | 36,5 | 354 | 26,0 |
| ავტონომიური ოკრუგების საბჭოები | 1.075 | 572 | 53,2 | 503 | 46,8 | 545 | 50,7 | 530 | 49,3 | 507 | 47,2 | 104 | 9,7 | 431 | 40,1 | 306 | 28,5 |
| რაიონული | 252.320 | 129.524 | 51,3 | 122.796 | 48,7 | 124.052 | 49,2 | 128.268 | 50,8 | 96.580 | 38,3 | 63.392 | 25,1 | 87.683 | 34,8 | 58.452 | 23,2 |
| საქალაქო | 282.542 | 143.281 | 50,7 | 139.261 | 49,3 | 131.622 | 46,6 | 150.920 | 53,4 | 175.161 | 62,0 | 2.848 | 1,0 | 102.584 | 36,3 | 67.571 | 23,9 |
| ქალაქების რაიონული | 133.428 | 67.750 | 50,8 | 65.678 | 49,2 | 62.849 | 47,1 | 70.579 | 52,9 | 82.359 | 61,7 | 40 | — | 48.099 | 36,0 | 31.622 | 23,7 |
| სადაბო | 213.008 | 106.838 | 50,2 | 106.170 | 49,8 | 88.112 | 41,4 | 124.896 | 58,6 | 129.987 | 61,0 | 11.101 | 5,2 | 71.702 | 33,7 | 44.205 | 20,8 |
| სასოფლო | 1.359.764 | 682.444 | 50,2 | 677.320 | 49,8 | 554.711 | 40,8 | 805.053 | 59,2 | 487.435 | 35,8 | 494.659 | 36,4 | 435.903 | 32,1 | 268.858 | 19,8 |

მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს და ადგილობრივ ორგანოებში არჩეულ დეპუტატთა შემადგენლობა ასახავს საბჭოების ჭეშმარიტად ხალხურ ხასიათს, ჩვენი საზოგადოების სოციალურ სტრუქტურას, საბჭოთა კავშირის ხალხთა მონოლითურ ერთიანობასა და მეგობრობას.

მოკავშირე, ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოებისა და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების არჩევნების შედეგებმა, კომუნისტებისა და უპარტიოების ურღვევი ბლოკის კანდიდატებისათვის ერთსულოვანმა ხმის მიცემამ კვლავ ცხადყო საბჭოთა ადამიანების უდიდესი ნდობა ლენინური პარტიისადმი, მისი ცენტრალური კომიტეტისადმი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და მისი მეთაურის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევისადმი, მშრომელთა მტკიცე გადაწყვეტილება, შეუპოვრად იღვაწონ კომუნისტური მშენებლობის ყველა უბანზე ახალი წარმატებების მისაღწევად, ჩვენი სოციალისტური სამშობლოს აყვავებისა და ძლიერების განმტკიცებისათვის.

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით:

ტრანსპორტზე ნაყოფიერი მუშაობისათვის და „აეროფლოტის დღის" დღესასწაულთან დაკავშირებით სსრ კავშირის სამოქალაქო ავიაციის სამინისტროს საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს საწარმოორგანიზაციათა მუშაკების ჯგუფი დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით; მუშაკთა ჯგუფებს მიენიჭათ „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის", „საქართველოს სსრ ტრანსპორტის დამსახურებული მუშაკის" საპატიო წოდებანი.

მიღწეული წარმატებებისათვის თბილისის მეტროპოლიტენის „ვაგზლის მოედან-დელისის" უბანზე მეორე რიგის საექსპლოატაციოდ გადაცემასთან დაკავშირებით სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს სამშენებლო-სამონტაჟო და საპროექტო ორგანიზაციების, აგრეთვე საქართველოს სსრ სხვა ორგანიზაციების ყველაზე თვალსაჩინო მუშაკები დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელებით; მუშაკთა ჯგუფებს მიენიჭათ „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის", „საქართველოს სსრ დამსახურებული მშენებლის", „საქართველოს სსრ ტრანსპორტის დამსახურებული მუშაკის" და „საქართველოს სსრ დამსახურებული არქიტექტორის" საპატიო წოდებანი.

რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა პროდუქციის ხარისხისა და ხარისხის მართვის კომპლექსურ სისტემათა დანერგვის დათვალიერება-ერთთვიურის ორგანიზაციასა და მოწყობაში აქტიური მონაწილეობისათვის, აგრეთვე 1979 წელს მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლებისათვის რესპუბლიკის პარტიული და სამეურნეო ორგანოების, სამრეწველო საწარმოთა მუშაკები დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით. (საქინფორმი).

### საპატიო წოდებათა მინიჭება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით:

**სავიაციო** ტრანსპორტის სისტემაში ნაყოფიერი მუშაობისათვის და საჰაერო ფლოტის დღესთან დაკავშირებით სსრ კავშირის სამოქალაქო ავიაციის სამინისტროს საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს თბილისის ავიასაწარმოს პოლიკლინიკის ექიმს ამხ. ეკატერინე ვასილის ასულ **აკაევას** მიენიჭა „საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმის" საპატიო წოდება.

**ხანგრძლივი** და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისა და სამეცნიერო კადრების მომზადებაში დამსახურებისათვის სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს „მთავარსაქწყალმშენის" სამმართველოს „კოლხეთმშენის" ტრესტის სამშენებლო ლაბორატორიის გამგეს, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ალექსანდრე ბესარიონის ძე **მოწერელიას** მიენიჭა „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის" საპატიო წოდება.

გვატყობინებენ საქდესისა და ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტები

## საერთაშორისო ცხოვრება
## დედამიწის ზურგზე

# მტკიცე, თანამიმდევრული მშვიდობის კურსით

**საერთაშორისო** საზოგადოებრიობისა და პრესის გამოხმაურება სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის მიერ ამომრჩეველთა წინაშე წარმოთქმულ სიტყვაზე ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ საბჭოთა კავშირის თანამიმდევრულმა და პრინციპულმა საგარეო პოლიტიკამ, რომლის მიზანია მშვიდობის დამკვიდრება, დაძაბულობის შენელების შენარჩუნება და გაღრმავება, დიდი ავტორიტეტი მოიხვეჭა მსოფლიოში.

ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვას მოწონებით შეხვდნენ კანადელი კომუნისტები, ყველანი, ვინც მშვიდობისათვის, დაძაბულობის შენელებისა და განიარაღებისათვის იღვწის, ხაზგასმულია **კანადის კომპარტიის აღმასრულებელი კომიტეტის განცხადებაში.** ჩვენი პარტია მთლიანად იზიარებს იმ დასკვნას, რომ პეკინთან პირშეკრული ვაშინგტონი თვითონ წარმართავს ინტერვენციას ავღანეთის წინააღმდეგ, რამაც სერიოზული საფრთხე შეუქმნა ავღანეთის რევოლუციას. ამერიკის იმპერიალიზმისა და მისი რეაქციული მოკავშირეების ფარისევლური ცდები, რომ თავი მოგვაჩვენონ „მშვიდობის დამცველებად", ვერავის ვერ მოატყუებს. მარტო საბჭოთა კავშირს, სოციალისტურ ქვეყნებს თავისუფლების, ეროვნული დამოუკიდებლობისა და დაძაბულობის შენელებისათვის მებრძოლ სხვა ძალებთან ერთად შეუძლიათ იხსნან კაცობრიობა განადგურებისაგან.

სსრ კავშირმა ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ ერთგულია მშვიდობის ლენინური პოლიტიკისა, ცხადყო, რომ მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი კვლავაც განახორციელოს საერთაშორისო დაძაბულობის შენელების კურსი, განაცხადა შვეციის კომუნისტთა მუშათა პარტიის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ **ა. ლევენბორგმა.** მოსკოვში ამომრჩეველთა წინაშე გამოსვლისას ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა დამაჯერებლად გამოააშკარავა იმპერიალისტური შეთქმულება ავღანელი ხალხის წინააღმდეგ, უცილობელი ფაქტებით ცხადყო, რომ საბჭოთა დახმარების მეოხებით ჩაიშალა იმპერიალიზმისა და რეაქციის გეგმები, რომელთა მიზანი იყო მოესპოთ ავღანეთის რევოლუციის მონაპოვარნი, გადაექციათ ავღანეთი სსრ კავშირის წინააღმდეგ აგრესიის პლაცდარმად.

– ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა, წერს ნეპალის გაზეთი **„კომონერი"** გამსჭვალულია იმის ღრმა რწმენით, რომ საერთაშორისო დაძაბულობის შენელების პროცესს, რომელსაც მთელი მსოფლიოს ხალხები მიესალმებიან, ვერას დააკლებენ იმპერიალისტები და რეაქცია. საბჭოთა კავშირმა უდიდესი წვლილი შეიტანა ხალხთა მშვიდობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. და ეჭვი არ არის, რომ იგი კვლავაც განაგრძობს ამ თანამიმდევრულ და მშვიდობისმოყვარულ კურსს.

**ჟენევაში** ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა გამოიცა როგორც განიარაღების კომიტეტის ოფიციალური დოკუმენტი იმის გამო, რომ მას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება და უპასუხებს ბევრ კითხვას, რომლებიც ახლა საერთაშორისო გაერთიანებას აფიქრებს.

საბჭოთა კავშირის დაძაბულობის შენელებისა და განიარაღების კურსის უცვლელობის ახალ დადასტურებას დიდი მოწონებით შეხვდნენ კომიტეტში, სადაც მიმდინარეობს აზრთა გაზიარება კომიტეტის დღის წესრიგის საკითხებზე.

### ეცნობიან საბჭოთა საქართველოს

**ტოკიო,** 1 მარტი. იაპონიის ტელევიზიის „ენ-ეიჩ-კეის" ცენტრალურმა პროგრამამ დღეს მოაწყო სპეციალური გადაცემა — „საქართველოს მოცეკვავე ბავშვები".

იაპონელი ტელემაყურებელი გაეცნო თბილისს, ქართულ ხუროთმოძღვრებას, ერის ისტორიას. პროგრამაში აჩვენეს ბავშვთა მხატვრული ანსამბლების გამოსვლები, რომლებმაც ეროვნული სიმღერები და ცეკვები შეასრულეს.

### ამხილებენ იმპერიალიზმის დაქირავებულებს

**ქაბული,** 29 თებერვალი. ავღანეთის დედაქალაქში ადგილობრივ და უცხოელ ჟურნალისტებს აჩვენეს ამერიკული, ჩინური, ინგლისური და პაკისტანური წარმოების ასობით შაშხანა და ავტომატი, რომლებიც არალეგალურად ჩამოიტანეს ავღანეთის დემოკრატიულ რესპუბლიკაში იმპერიალისტური დაზვერვების აგენტებმა და მათმა ხელშემწყობებმა. სტენდებზე გროვად აწყვია ხელის გრანატები, პისტოლეტები, დანები, კასეტები და მძიმე ტყვიისბუნიკიანი პლასტიკის ხელკეტები.

აქ ფართოდ არის წარმოდგენილი ყალბი დოკუმენტები, ძირგამომთხრელი ხასიათის ფურცლები, ინსტრუქციები და პაკისტანში გამოცემული ავღანელი ხალხის მიერ უარყოფილი და ქვეყნიდან განდევნილი ბანდიტური შენაერთების „ლიდერთა" ფოტოსურათების ალბომიც.

ცინიკურად ჟღერს წარწერა ახვანისტთა რეაქციული ორგანიზაციის მოწმობების ბლანკებზე, რომლებიც ერთ-ერთ ტერორისტს ამოუჩინეს, — „ალაჰი შეეწევა იმათ, ვინც სიკვდილს აკეთებს".

ამერიკის იმპერიალიზმისა და პეკინელი ჰეგემონისტების აგენტთა სისხლიან საქმეებზე ელაპარაკა ჟურნალისტებს ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის ინფორმაციისა და კულტურის მინისტრი ა. მ. სარბოლანდი. ბანდიტები მხეცურად ხოცავენ ქალებსა და ბავშვებს, წვავენ სკოლებსა და ბიბლიოთეკებს. ამასთან, აღნიშნა მინისტრმა, მათ სულაც არ აწუხებთ, რომ სახელმძღვანელოებთან ერთად იწვის ყველა მუსლიმანისათვის წმინდა წიგნი—ყურანი. ამას წინათ ამ „ისლამის დამცველებმა" გაძარცვეს საქვეყნოდ ცნობილი ხადის მუზეუმი ჯელალაბადის მახლობლად, სადაც თავმოყრილია ჩვენი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნის დამდეგის ხელოვნების უნიკალური ნაწარმოებები და ისტორიული ძეგლები. ა. მ. სარბოლანდმა იმპერიალიზმისა და რეაქციის დაქირავებულთა მხეცობის ათობით კონკრეტული მაგალითი მოიყვანა.

### აი რას ამბობს ყოფილი პოლპოტელი

**ჰანოი,** 1 მარტი. „როცა კამპუჩიის ტერიტორიაზე გვგზავნიან, გვიბრძანებენ ტყვია-წამალი არ დაზოგოთო", — თქვა პრიჩ თხონმა, ყოფილმა პოლპოტელმა ჯარისკაცმა, რომელიც ტყვედ ჩაიგდეს კამპუჩიაში ტაილანდის ტერიტორიიდან მოწყობილი ბანდიტთა მორიგი რეიდის დროს. ჩვენ, დასძინა მან, რეგულარულად ვიღებთ ჩინურ იარაღსა და ტყვია-წამალს, რომლებიც ჩვენს ბანაკში ჩამოაქვთ ბანგკოკიდან.

კამპუჩიის საინფორმაციო სააგენტო, რომელიც აქვეყნებს ცნობებს ტყვეთა ამ და სხვა ჩვენებების შესახებ, ხაზს უსვამს, რომ ჩინეთისა და დასავლეთის მთელი რიგი სახელმწიფოების სპეცსამსახურები აქტიურად აწვდიან იარაღს პოლპოტელთა ბანდების ნაშთებს, რომლებიც ტაილანდის სასაზღვრო რაიონებში დამკვიდრდნენ, და აგულიანებენ მათ ჩაიდინონ ახალი დანაშაულობანი კამპუჩიის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ.

### ფოტოატლასი



### ძველი რომი დღეს

**რომი** — იტალიის დედაქალაქი მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ქალაქია, რომელიც, ლეგენდის თანახმად, დაარსებულია 753 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

ანტიკური ხუროთმოძღვრების, აღორძინების ეპოქისა და ბაროკოს შეხამება უფრო გვიანდელი ხანის შენობებთან „მარადიულ ქალაქს" თავისებურ, უბადლო იერს აძლევს. ზემო სურათზე ხედავთ კონსტანტინეს თაღს. ასეთ თაღებს რომაელი იმპერატორები თავიანთი გამარჯვებების აღსანიშნავად აღმართავდნენ ხოლმე.

ქვემო სურათზე ანტიკური რომის სიმბოლოდ ქცეული კოლიზეუმია გამოსახული. მას საფუძველი ჩაუყარეს ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეში. მის უზარმაზარ ოვალურ არენაზე სადღესასწაულო სანახაობანი და გლადიატორთა ბრძოლები იმართებოდა, ხოლო ამფითეატრი, რომელიც თანამედროვე სტადიონებს დაედო საფუძვლად, 50 ათასზე მეტ მაყურებელს იტევდა.

ა. კატკოვის ფოტო (საქდესის ფოტოქრონიკა).



# ირანის ამბები

**თეირანი,** 1 მარტი. ირანელმა სტუდენტებმა, რომლებმაც ხელში ჩაიგდეს ამერიკის თეირანის საელჩო, ტელევიზიით აჩვენეს დოკუმენტები, რომლებიც ააშკარავებენ ირანის სამხედრო-საზღვაო ძალების ამას წინათ დაპატიმრებული სარდლის ადმირალ ალავის კავშირს ამერიკის სადაზვერვო სამსახურებთან.

დოკუმენტები ცხადყოფს, რომ პენტაგონს ყველა სახეობის შეიარაღებული ძალების შტაბებში, კერძოდ, ირანის სამხედრო-საზღვაო ძალების შტაბში ჰქონდა საკუთარი განყოფილებები.

შაჰის რეჟიმის დამხობის შემდეგ პენტაგონისა და ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს წარმომადგენლები დამხობილი შაჰის მმართველობის დროს ირანის სახელმწიფო და სამხედრო აპარატში შექმნილი ფართო აგენტურული ქსელის დახმარებით ცდილობდნენ წაეშალათ ირანის საშინაო საქმეებში თავიანთი უშუალო ჩარევის კვალი. როგორც სტუდენტებმა აღნიშნეს, ამ საქმეში ამერიკელებს დიდი დახმარება გაუწია ირანის სამხედრო-საზღვაო ძალების ყოფილმა სარდალმა ადმირალმა ალავიმ.

ხელისუფლების რევოლუციური ორგანოებისაგან ფარულად მან შარშან მაისში ამერიკის დაზვერვის წარმომადგენლებს გადასცა ირანის სამხედრო-საზღვაო ძალების შტაბთან არსებული პენტაგონის განყოფილების ყველა საიდუმლო დოკუმენტი.

ირანელმა სტუდენტებმა კიდევ ერთხელ ამხილეს ამერიკის შეერთებული შტატები მაშინ, როცა ირანში იმყოფება ყოფილი შაჰისა და ამერიკის იმპერიალიზმის დანაშაულობათა გამომძიებელი საერთაშორისო კომისია. სტუდენტებმა განაცხადეს, რომ 100 ათასი ირანელი პატრიოტის დაღუპვაში თანაბრად მიუძღვით ბრალი როგორც შაჰს, ისე მის ამერიკელ მფარველებსაც. ამას ადასტურებს ამერიკის საელჩოში აღმოჩენილი დოკუმენტები, რომლებსაც წარუდგენენ საერთაშორისო კომისიას.

28 თებერვალს კომისიის წევრები შეხვდნენ ირანელთა ჯგუფს, რომლებიც შაჰის საიდუმლო პოლიციის სავაქის დილეგებში დასახიჩრდნენ.

„საზარელი სპექტაკლი" უწოდა საფრანგეთის ტელევიზიის თეირანელმა კორესპონდენტმა ამ შეხვედრას. როგორც მან თქვა, შეხვედრაზე მოვიდნენ წამების დროს დასახიჩრებული ასობით ადამიანი, ქალები საიდუმლოების მიერ ნაწამები და დახვრეტილი შვილების ფოტოსურათებით. კომისიის წევრებმა მოისმინეს 150 კაცის ჩვენება.

**ნიუ-იორკი,** 1 მარტი. ამერიკის შეერთებული შტატების მემარჯვენე პრესა კვლავ აქვეყნებს წამქეზებლურ განცხადებებს, მოითხოვს ირანის წინააღმდეგ დამსჯელი აქციების დაუყოვნებლივ გამოყენებას. გულწრფელად უნდა ითქვას, რომ ჩვენ გამოვიყენებთ უფრო მკაცრ ზომებს, მათ შორის ბლოკადას, წერია „ნიუ-იორკ დეილი ნიუსის" სარედაქციო სტატიაში. დაღგა დრო, განაგრძობს გაზეთი, „როცა საჭირო გახდა ირანელებს ვუჩვენოთ, რომ შეერთებულ შტატებს მოთმინების ფიალა ევსებათ".

### „გაგებით" მოეკიდნენ

**კანბერა,** 1 მარტი. ამერიკის შეერთებული შტატები გაფაციცებით ცდილობს ჩააბას სხვა კაპიტალისტური სახელმწიფოები ეგრეთწოდებული „სწრაფი რეაგირების კორპუსის" შექმნის გეგმებში. როგორც ადგილობრივი პრესა იუწყება, ვაშინგტონში ანზიუსის სამხედრო ბლოკის ხელმძღვანელობის სესიაზე ამერიკის წარმომადგენელმა ავსტრალიას წინადადება მისცა აქტიურად ჩაება ამ საჟანდარმო კორპუსის საქმიანობაში. ოფიციალური კანბერა „გაგებით" მოეკიდა პარტნიორის თხოვნას. თუმცა ანზიუსის აქტიურობა ფორმალურად შემოიფარგლება წყნარი ოკეანის ზონით და ავსტრალიის დასავლეთი სანაპიროს რაიონით, განაცხადა ავსტრალიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ე. პიკოკმა, ჩვენ შეერთებული შტატების მოკავშირენი ვართ და განვიხილავთ საკითხს „მსოფლიოს სხვა რეგიონებში" ერთობლივი მოქმედების შესახებ.

## მოკლედ ყოველი მხრიდან

### 1 მარტი

□ **პარიზი.** მთელ საფრანგეთში მოეწყო მშრომელთა საარსებო ინტერესების დასაცავად მოქმედების დღე. გაფიცული იყვნენ ყველა ნავსადგურის დოკერები, პარიზის სამი ათასზე მეტმა ბანკის მოხელემ მოაწყო მანიფესტაცია, გაფიცვები გაიმართა აგრეთვე კოლომბოში, რუანსა და ქვეყნის სხვა ქალაქებში.

□ **დელი.** მადრასში გაიმართა დემონსტრაცია, რომლის მონაწილეებმა მხარი დაუჭირეს კომპანია „ენჯინ ველვზის" მუშათა მოთხოვნებს უკანონო დათხოვნის წინააღმდეგ. მუშათა დელეგაციამ შტატის გუბერნატორს წარუდგინა პეტიცია, რომელიც მოითხოვს სამუშაოდან დათხოვნილ მშრომელთა აღდგენას.

□ **იაუნდე.** კამერუნის რადიომ გამოაცხადა, რომ კამერუნის პრეზიდენტის არჩევნები ამა წლის 5 აპრილს მოეწყობა.

კამერუნის ეროვნული კავშირის მმართველი პარტიის ყრილობაზე, რომელიც ახლახან დამთავრდა ბაფუსამში, პრეზიდენტობის ერთადერთ კანდიდატად დაასახელეს ამ კავშირის ეროვნული თავმჯდომარე, სახელმწიფოს აწლანდელი მეთაური ამადუ ახიჯო. კამერუნის პრეზიდენტს, კონსტიტუციის თანახმად, ხუთი წლის ვადით ირჩევენ.

□ **სან-ხოსე.** გვატემალის სამხრეთის დეპარტამენტებში გრძელდება შაქრის ლერწმისა და ბამბის პლანტაციების მუშათა გაფიცვა. ერთი კვირის წინ მათ მუშაობა შეწყვიტეს, რადგან მოითხოვდნენ ხელფასის მომატებას და შრომის პირობების გაუმჯობესებას.

გაფიცვით მოცულ რაიონებში თავმოყრილია გვატემალის პოლიციის გაძლიერებული რაზმები. ქალაქ ესკუინტლის — ამავე სახელწოდების დეპარტამენტის ადმინისტრაციული ცენტრისაკენ მიმავალ გზატკეცილზე დამსჯელებმა გარეკეს გაფიცულთა მშვიდობიანი დემონსტრაცია და მანიფესტანტებს ხელკეტებითა და ცრემლსადენი გაზის გრანატებით დაერივნენ.

# ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

**პეკინი,** 29 თებერვალი. როგორც სინხუას სააგენტო იუწყება, პეკინში 23-29 თებერვალს მიმდინარეობდა ჩინეთის კომუნისტური პარტიის მეთერთმეტე მოწვევის ცენტრალური კომიტეტის მე-5 პლენუმი.

პლენუმმა გადაწყვიტა ვადამდე მოიწვიოს პარტიის XII ყრილობა „საშინაო ვითარებაში მომხდარ ცვლილებებთან დაკავშირებით", აგრეთვე „მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი საკითხების გადასაწყვეტად".

გადაწყდა შეიქმნას ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნო. ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად არჩეულია ხუ იაობანი. ცენტრალური კომიტეტის სამდივნოში იაობანის გარდა შევიდა კიდევ ათი კაცი. ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მუდმივი კომიტეტის შემადგენლობაში კოოპტაციის წესით შეიყვანეს ხუ იაობანი და ჭაო ძიანი.

პლენუმმა დაადგინა სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრებას წინადადება მისცეს გააუქმონ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუციის 45-ე მუხლი, სადაც ჩაწერილია, რომ „მოქალაქეებს უფლება აქვთ თავისუფლად გამოთქვან თავიანთი აზრი, სრულად ჩამოაყალიბონ შეხედულებანი, გამართონ ფართო დისკუსიები" და გამოაკრან დაძიბაოები.

პარტიასა და სახელმწიფოში ხელმძღვანელი პოსტებისაგან გაათავისუფლეს ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები ვან დუნსინი, ძი დენკუი, უ დე და ჩენ სილიანი.

ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ყოფილი თავმჯდომარის ლიუ შაოცის სიკვდილის შემდეგ რეაბილიტაციის შესახებ ნათქვამია, რომ გადაწყვეტილია მას მოეხსნან „რენეგატის, გამცემისა და შტრაიკბრეხერის" იარლიყი და ყველა სხვა ბრალდება, რომლებიც 1968 წლის ოქტომბერში წაუყენეს ჩინეთის კომუნისტური პარტიის მერვე მოწვევის ცენტრალური კომიტეტის მე-12 პლენუმზე.

გამოცხადებული დღის წესრიგის თანახმად ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების საკითხები ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მე-5 პლენუმზე არ განუხილავთ.

კომუნისტი
საკვირაო საკითხავი

# კაცთმოყვარეობის სახელით

## რესპუბლიკის მხატვრული მატიანე

როცა პირველ კომკავშირელს — ბიჭოია ფურცხვანიძეს ვემშვიდობებოდით კონსტანტინე ლორთქიფანიძის მოთხრობის ფურცლებზე, როგორღაც ვგრძნობდით, რომ ოციანი წლების ჩვენი რთული ცხოვრება მას ისევ შეგვახვედრებდა. უწოდეთ ამას რაც გნებავთ — წინათგრძნობა თუ მიზეზობრივი აუცილებლობა, მაგრამ ახალგაზრდა კაცის რომანტიკული გატაცებით აღსავსე და მიმსწრაფი ცხოვრება ჩვენს გონებაში მას ისეთ გაცნობიერებულ ფენომენად ტოვებდა, რომელთანაც შეხვედრა, გინდა თუ არა, მაინც მოგიწევს.

და მართლაც, კვლავ შევხვდით ჩვენს ნაცნობს — ახლა სხვა ვითარებაში მოხვედრილსა და სხვა მისიის მატარებელს.

უკან დარჩა პირველი რომანტიკული ოცნება ყაბარდოულ ცხენზე თუ ჩინეთის და ინდოეთის ველებზე, სადაც მსოფლიო რევოლუციის ქარიშხალს გაყოლილ გმირს იკაური მოძმეებისათვის თავისი უბიწო სოციალური მორალის შესაბამისი დიდი სიმართლე უნდა „მიეტანა“. უკან დარჩა, რადგან ახალ ურთიერთობათა დამკვიდრება არცთუ ისე ადვილი გამოდგა, რევოლუციის პირველ წლებში რომ ეჩვენებოდა ამ რევოლუციის ყოვლისმძლე ძალით გატაცებულ გმირს. ცხოვრებამ სხვა სარბიელზე გაიყვანა, სხვა განსაცდელისა და გამოცდის წინაშე დააყენა იგი. საჭირო იყო ჯერ საკუთარ ქვეყანაში წესრიგის დამყარება, სისხლის ფასად უკვე რეალიზებული ოცნების მყარი საფუძვლის შექმნა. და თუმცა იარაღს ვერ დაემშვიდობა, მაგრამ რომანტიკული ილუზიები საბოლოოდ მოიშორა და პრაქტიკულ საქმეს მიეცა.

სწორედ აქ უნდა გარკვეულიყო, მარტო იარაღს მინდობილი კაცი იყო იგი, თუ ადამიანის სულიერი მხსნელიც და მაორგანიზებელიც. და, რადგან „უკვე იცოდა, რისთვის ცხოვრობდა ამ ქვეყანაზე“, მას საკუთარი გულით ნაკარნახევი მრწამსიც უნდა ჰქონოდა.

„გულწრფელი, ავ-კარგის მცნობელი და მამაცი“ ახალგაზრდა კაცის ეს მრწამსი განაპირობებს მის პრინციპულობას მეტად რთულსა და, ერთი შეხედვით, თითქოს საჭოჭმანო ვითარებაში. იგი აღმოჩნდება სასტიკ წინააღმდეგობრივს განსაცდელში, რომლიდან გამოსასვლელად მხოლოდ ბეწვის ხიდი არსებობს.

და აი, ერთსა და იმავე დროს თავის კლასობრივ ყნოსვას, გონების ხმას, სინდისსა და კაცთმოყვარეობის უკვდავ მადლს მინდობილი გმირი გაივლის ამ ბეწვის ხიდს, რომლიდანაც მისთვის იწყება ადამიანურობის ახალი, ფართო და უსასრულო გზა.

შარშან გაზეთ „კომუნისტის“ ფურცლებზე დაბეჭდილი რამდენიმე თავი კ. ლორთქიფანიძის მოთხრობისა და ახლა მთლიანად „მნათობში“ (№ 1) გამოქვეყნებული „სიტყვა იყო ღმერთი“ არის რევოლუციონერის ზნეობრივი სიწმინდისა და სიმაღლის მართალი ამბავი.

იგი მით უფრო საინტერესოა, რომ ახალი სიტყვაა აქამდე ჩვენთვის კარგად ცნობილ მწერლისეულ კონცეფციაში. მექი ვაშაკიძისა და ტარასი ხაზარაძის გვერდით დგება ახალი სულიერი მომართულობისა და მისიის გმირი — ბიჭოია ფურცხვანიძე.

...ყაჩაღთა ბანდის მოსასპობად წამოსული, ახლა უკვე წითელწყაროს მილიციის უფროსი ბიჭოია ფურცხვანიძე საოცარი სურათის მოწმე ხდება: ტყიდან გამოსულ ყაჩაღებს თოფ-იარაღი პურის ყანაში დაუწყვიათ, შიშით გაქვავებული გლეხების ცელები ხელთ აუღიათ და შრომას მონატრებული გლეხკაცის თავდავიწყებით მკიან შემოსულ პურს. ცელების წკრიალი და ნაფთევ-ნაფთევად დაწყობილი ლამაზი ღვარეული საოცარ ჰარმონიად ედება და სულის სიღრმემდე შესძრავს საფარში ჩამჯდარ, იარაღმომარჯვებულ მილიციელთა მეთაურს. ამ საოცარი სურათის შემყურე ბიჭოია უეცრად აღმოაჩენს მისთვის აქამდე თითქოს უცხო, ახალ ჭეშმარიტებას: ვინც დაბურული ტყიდან მზიან ველზე გამოვიდა, იარაღი მოიხსნა და ცელი აიღო, საბოლოოდ ხელიდან წასულს არა ჰგავს; ცხოვრებაზე გაბოროტებული კაცი ამას არ იზამს!

და მართლაც, ვინ არიან ეს „ტყის კაცები“? პროვოკაციულ ხმებს აყოლილი, მართალ გზას ამცდარი გლეხები. რაღაც უბრალო ფათერაკმა, სიბრიყვემ თუ სხვათა ჩაგონებამ დიდაადგილს რომ მოსწყვიტა და ტყეში შეჰყარა“.

იყვნენ ასეთებიც! საჭირო იყო მათი გარჩევა რევოლუციის მტრებისაგან. მათი ნამოქმედარი სხვა სასწორზე უნდა აწონილიყო, სხვა საზომით გაზომილიყო და სხვა კანონით განსჯილიყო. აქ უკვე სულის ხსნა იყო საჭირო და არა მისი მოშთობა.

გმირმა, ვინც ამ ჭეშმარიტებას მიაგნო, რეალურ ძალად უნდა აქციოს კიდეც იგი. და ბიჭოია ფურცხვანიძე იწყებს უკომპრომისო ბრძოლას თავისი, უკვე პრინციპად ქცეული მრწამსისათვის.

იბადება კონფლიქტი; ერთმანეთს ეჯახება რევოლუციისათვის თავდადებული ორი ადამიანის კონცეფცია.

„სამყარო ორად არის გაყოფილი... წითლების მხარეზე არა ხარ? მაშ თეთრებისა ყოფილხარ და ტყვია შუბლში! სხვა ვერაფერი გაგასწორებს!“ — ეს რევოლუციაში ნაწრთობი, სამაზრო მილიციის უფროსის ვანო მურადაშვილის რწმენაა, მისი პრაქტიკის სიმართლე, რევოლუციის ამოცანის მისეული გაგებაა.

„მე ეს ცხოვრება უფრო რთული მგონია, უფრო ღრმად წასული ქვესკნელ-ზესკნელში! ცხოვრებაში ხშირად ხდება ხოლმე, რაღაც შემთხვევის გამო კაცი გზიდან გადასცდება, რაღაც შეეშლება, ან თავიდანვე რაღაცაში დაეჭვდება და ბრძოლას განზე გაუდგება! შეიძლება ამ შეცდომამ ქვეყანა არ დააქციოს და იმ კაცმა მართალი გზა იპოვოს. მაგრამ ეს მხოლოდ მაშინ მოხდება, თუ მსაჯულმა მეტი მოთმინება და გაგება გამოიჩინა!“, — ასეთია იმ თითქოსდა უტყუარ ჭეშმარიტებაში ბიჭოია ფურცხვანიძის მიერ შეტანილი კორექტივი.

რა არის ეს, კონფლიქტი რევოლუციურსა და ჰუმანურს შორის? რასაკვირველია, არა. ეს არის რევოლუციის ამოცანისა და მისიის ორი სხვადასხვა გაგება. აქ ერთის უსაზღვრო მემარცხენულ ფანატიზმსა და პედანტიზმს უპირისპირდება მეორის რეალობის შეგრძნებისა და ფხიზელი განსჯის ზომიერი გრძნობა, რევოლუციის ნამდვილი სახალხო ხასიათის და მით მოტანილი ჭეშმარიტი კაცთმოყვარეობის ფართო გაგება.

პირველმა მხოლოდ ის იცის, რომ რევოლუციას აქვს თავისი რკინისებური კანონი: რაც მის წინააღმდეგ იარაღით აღდგება, იარაღითვე უნდა იძლიოს. მეორემ კი, ამას გარდა, ისიც იცის, რომ რევოლუციის არსშივე ძევს აგრეთვე უდიდესი სიკეთე — იმოქმედოს კაცთმოყვარეობის უკვდავი პრინციპით; იმოქმედოს ყოველთვის, თვით სასტიკი გამძაფრების მომენტებშიც. ეს მისი ის შინაგანი ძალაა, რომელიც გონიერებას ამკვიდრებს, როგორც ჰუმანიზმის დიდ პრაქტიკას.

ბიჭოია ფურცხვანიძისათვის ეს არ არის კლასობრივი ზავი; მისი რწმენის კაცი ასეთ ზავს არ ცნობს. ეს არც განურჩევლად მოყვასის სიყვარულის ქრისტიანული მორალია; იგიც უცხოა რევოლუციით ფანატიკურად გატაცებული კაცისათვის. ეს არის გზააბნეული ადამიანისათვის ხელის გაწოდება სწორედ იმ დიდი მისიის გულისათვის, რევოლუცია რომ ისახავს. ბიჭოიამ იცის: რევოლუციაში გატარებული უძილო ღამეები, თებერვლის სუსხიანი დღეებისა და შიმშილის სიმწარე, სასტიკი გაჭირვება და სისხლი მის მიერ სწორედ ადამიანის გულისათვის გაღებული მსხვერპლი იყო.

ამ რწმენისადმი ბოლომდე ერთგული ადამიანი თავს სწირავს; იგი იარაღაყრილი შედის ტყეში და მართალი სიტყვის სიმტკიცის ძალით დაიყოლიებს გაყაჩაღებულ გლეხებს მათს საოცნებო გუთანსა და ცელს დაუბრუნდნენ.

მაგრამ ჩვენ ზევით ვნახეთ, რა ფასი შეიძლება ჰქონდეს პირობის სიტყვას ვანო მურადაშვილისათვის, ვინც სიტყვას ფანდად ხმარობს და ტყიდან თავისი ნებით გამოსულ გლეხებს საპყრობილეში ამწყვდევს, რომ მეორე დღეს ვერაგულად გაუსწორდეს.

სიტყვა იყო ღმერთი — სახარების ეს დოგმა უბრალოდ როდია დამოწმებული მოთხრობის სათაურად. მწერალი გვთავაზობს მის ახლებურ წაკითხვას. სიტყვა აქ ინტერპრეტირებულია როგორც უზენაესი ჭეშმარიტება, რომლისადმი ღალატიც გამოუსწორებელი ცოდვაა. თავისი ხალხის შვილმა და ხელისუფლების გულმართალმა წარმომადგენელმა იცის, თუ რაოდენ აუწონავი და ფასდაუდებელია ახლად დამყარებული სახალხო ხელისუფლების სახელით გაცემული სიტყვა ხალხისვე თვალში. ამიტომ არც თვით დათმობს და არც არავის გადაათქმევინებს მიცემულ სიტყვას ბიჭოია ფურცხვანიძე. მისთვის ამ სიტყვის უკან დგას რევოლუციის მთელი მონაპოვარი, ახლად დამკვიდრებული სინამდვილე, ახალი წყობილების სახელი და ავტორიტეტი, მისი მომავალი სიმტკიცე. ეს არის მისი ჭეშმარიტება და არა ფანატიკური ულტრამემარცხენეობა, რომელშიც უნდობლობისა და ხშირად მზაკვრობის ელემენტიც მოძრაობს.

საკუთარი სიმართლის ძალაში დარწმუნებული, იგი კაცთმოყვარეობის სახელით შედის საპყრობილეში და სიტყვის გამტეხი სამაზრო მილიციის უფროსის მიერ დაპატიმრებულ გლეხებს ათავისუფლებს, რათა მათს ბზარდაკრულ რწმენას ძალა და სიმართლე დაუბრუნოს.

მან იცის, რა დიდ პასუხისმგებლობას კისრულობს რევოლუციის წინაშე, როცა საკანში დამწყვდეულთ კარს გაუღებს. მაგრამ მანვე იცის, რომ უპირველესად ეს არის პასუხისმგებლობა რევოლუციის მომავლის წინაშე, რომელიც არ შეიძლება განურჩეველი იყოს ასეთი ადამიანების მწარე ბედის მიმართ.

ამიტომ რჩება იგი სხვათა მაგივრად საპყრობილის საკანში და, საკუთარი სიმართლისა და სიტყვისადმი რწმენით გამსჭვალული, წერს პარტიის ხელმძღვანელებისადმი მიმართული თავისი განცხადების იმედიან, დიდი სიმართლის დამამტკიცებელ სტრიქონებს...

„თენდებოდა. დრო-ჟამი შეუჩერებლად მიიწევდა წინ და მხოლოდ მან ერთმა იცოდა, რა უფრო მძიმე დანაშაული იყო, — ვანო მურადაშვილის ვერაგობა, თუ ჩემი პირველი კომკავშირელის პასუხი ამ ვერაგობაზეო“, — ამბობს მწერალი თავისი მოთხრობის დასასრულს.

ეს თავისებური აპელაცია დროისადმი მხოლოდ მწერლურ ხერხად კი არ უნდა მივიჩნიოთ. იგი თავის თავშივე ობიექტურად ამჟღავნებს სწორედ რომ დროის მიერ გაცემულ დადებითს პასუხს: ჭეშმარიტება არდამთმობი, მაგრამ დიდსულოვანი გმირის მხარეზეა; იგი მოქმედებს კაცთმოყვარეობის სახელით, თავისი რევოლუციისა და თავისი ხალხის სახელით.

**გიორგი მერკვილაძე.**



ახალი საცხოვრებელი სახლები დიღმის მასივში.
ზ. დათუაშვილის ფოტო.

## მივიწყებული ხელობის ოსტატები

„კაპიჩემისა გათლილო,
ბებიაჩემის ხნისაო“.
ხალხური

# დაჰკარ და დაჰკარ ფანდურო!..

ყაზბეგის რაიონში მიგნებულ უძველეს განძეულობათა შორის არის მუსიკოს-დამკვრელის ბრინჯაოს ქანდაკებაც, რომელსაც ხელში ხუთძალიანი საკრავი უჭირავს. ძნელია იმის მტკიცება, ქნარია იგი თუ სხვა რამ საგალობელ-სამღერი ინსტრუმენტი, მაგრამ ერთი რამ უდავოა: ქართველი კაცი ძალზე დიდი ხნის წინათ იცნობდა ძალებიან საკრავებს. ან კი განა შეიძლება, მრავალხმიანი შეწყობილი გალობის პატრონ ხალხს საკრავებიც ჟღერადი და დახვეწილი არა ჰქონოდა?!

როგორც ჩვენი სასიქადულო მეცნიერი ივ. ჯავახიშვილი დაასკვნის, ძალებიან საკრავთა შორის საქართველოში ერთ-ერთი უძველესი ფანდური ყოფილა, თუმცა იგი მე-10 საუკუნემდე არსებულ ძეგლებში ზუსტად არ მოიხსენიება და „მისი არსებობა მხოლოდ მისგან ნაწარმოები ტერმინით სფანდურებლით მტკიცდება“. (ივ. ჯავახიშვილი. „ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები“, გვ. 150). არის კიდევ ერთი საგულისხმო გარემოება: ფანდური ძალზე უახლოვდება ბერძნულ „პანდურას“.

ფანდური არც ახლა მისცემია ჩვენში დავიწყებას. იგი, სხვა თუ არაფერი, არაერთი ქართული ხალხური თვითშემოქმედების ანსამბლის კუთვნილებაა. ამ ანსამბლების შეკვეთებს კი საკმაოდ ინტენსიურად ასრულებს რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს დამხმარე საწარმოთა და მომარაგების სამმართველო. რა სახის ძალებიან, ჩასაბერ თუ დასარტყმელ საკრავებს არ ამზადებენ აქ: ფანდურებსა და ჩონგურებს, ჩანგსა და ჭუნირს, სალამურსა და სტვირს, ლარჭემსა და დიპლიპიტოს და მრავალ სხვას.

დიახ, ასეა, მაგრამ ჩვენი მთისა და ბარის სოფლებში მხოლოდ აქა-იქ თუ შემორჩნენ საკრავთა გამომთლელი ოსტატები, თავის შექცევის მიზნით რომ არ ივიწყებენ მამაპაპისეულ ხელობას.

ამას წინათ სიღნაღის რაიონის სოფელ ტიბაანის კულტურის სახლში მოვხვდით, ძალზე გაგვახარა მისი დირექტორის იოსებ ჯავახიშვილის ნათქვამმა: რაიონულ დათვალიერებაში გამარჯვებული სიმღერის გუნდიც გვყავს და საკრავებზე ინდივიდუალური შემსრულებლებიცო. როცა თბილისში დამზადებულ ქართულ ხალხურ საკრავებს ვათვალიერებდით, ჩვენი ყურადღება გამორჩეული ხელწერით და სინატიფით დამზადებულმა რამდენიმე სხვადასხვა ზომის ფანდურმა მიიპყრო. ისინი თურმე იმავე სოფლის მკვიდრის ილო ბიძინაშვილის ნახელავი ყოფილა.

ძია ილოს შინ მივაკითხეთ. ძველი ხელობის ქიზიყელი ოსტატი ენამზეობით ვერ დაიკვეხნიდა, მაგრამ საუბრით კი დიდხანს გვესაუბრა ფანდურის გამოთლის საიდუმლოებაზე.

— ქიზიყში ამ საკრავს უმეტესად ჩანგურს ან ჩონგურს ეძახიან, — გვეუბნება მასპინძელი,





— მაგრამ მე ყურში კარგად არა მხვდება. ჩანგურისა რა გითხრათ, ჩონგურს კი ოთხძალიანს ვიცნობ. ჩვენში გავრცელებული საკრავი ფანდური უნდა იყოს იმიტომ, რომ სამძალიანია.

ხანდაზმული ოსტატის ნათქვამი გვენიშნა. დღეს მართლაც ძნელია გულდაჯერებით ითქვას, ერთი და იგივე საკრავია ფანდური და ჩონგური, თუ არა, ივანე ჯავახიშვილს ზემოთ ხსენებულ ნაშრომში მოტანილი აქვს ვახტანგ ჯაფარიძის ჩანაწერები, სადაც მთიელები ამბობენ: ფანდური და ჩონგური ერთი და იგივეა, განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ ფანდურს მთაში უძახიან, ჩონგურს კი ბარში. ისინი მცირეოდენ მხოლოდ მუცლის სიდიდით და აღნაგობით განსხვავდებიანო...

— ფანდურისთვის საუკეთესო მასალა ვერხვი და ფურცელია, — ამბობს ი. ბიძინაშვილი — ეგენი სხვებზე მსუბუქია და უფრო ადვილადაც ითლება. ისე კი, ცაცხვიც გამოდგება, ნეკერჩხალიც და ბალიც.

მასპინძელმა ფანდურის გაკეთების სხვა საიდუმლოებანიც აგვიხსნა: თავდაპირველად ხეს შეარჩევს, მოჭრილი ხის ძირს რამდენიმე ფანდურის ზომაზე დაჰპობს. ჯერ ცულით მიადგება და დააკოპიტებს, გამოაშრობს, შემდეგ ეჩოთი ან სატეხით გულს ამოუღებს და ამგვარად ფანდურის მუცლის კონტურებს გაიყვანს. ამის მერე იწყება ყველაზე ფაქიზი სამუშაო, რომლის დროსაც მხოლოდ ჩქითს (მოკაუჭებული, ბასრი დანა) ხმარობს, დინჯად და გულმოდგინედ გამოჰყავს საკრავის მუცელ-ალკაპი და ყელი, ჭდეურები და სახჩირეები. ცალკე ამზადებს თვით ჩხირებს, ძალების შესაყენებელ ჯორკას და მათ დამჭერ კოპებს, რომელიც მუცლის ბოლოშია დამაგრებული. ყველაფერ ამას რომ მოათავებს, გულდა მუცელზე რამდენიმე ადგილას დაჩვრეტილ ფირფიცარს დააკრავს, ფარდებს გაუკეთებს, ძალებს გაუბამს, შეღებავს და ფანდურიც მზად არის.

დაგვაინტერესა ძალების მასალამაც.

— ახლა ძალებად კაპრონის ძაფებს ვაბამ, რადგან უფრო იოლად საშოვნელია და ცვეთასთან თუ არ მოხვდა, დიდხანს არ ცუდდება, მაგრამ ხმა კარგი ვერა აქვს, — ქალაქური გამოდის, — გვიხსნის ოსტატი. — ადრე ძალებად ცხვრის წლებს ვიყენებდით. ცხვარი ხნიერი და ჯანდაგი ჯობდა, მაგარი და უქონო წლები ჰქონდა, დასამუშავებლადაც ადვილი იყო და უფრო გამძლეც. წლებს დავხვევდით, დავაგრძელებდით, გავჭიმავდით და გავახმობდით ხოლმე. ერთი დიდი ცხვრის წლებისაგან რატომ ათი საფანდურე ძალი არ გამოდიოდა, მაგრამ ხშირ დაკვრაში ძალი ცვდებოდა და განახლება სჭირდებოდა.

ილო ბიძინაშვილმა ფანდურის გამთლის საიდუმლო ჯერ კიდევ ბავშვობაში ისე გაიგო, რომ არავინ ჰყოლია მასწავლებელი. კედელზე ჩამოკიდებული პაპისეული ფანდურის ცქერაში გაუჩნდა ეს მისწრაფება, რომელიც მალე სულიერ მოთხოვნილებად ექცა და ახლაც არ ასვენებს. მოცალეობის ჟამს მეტადრე როცა გაზაფხულდება, ეჩოსა და ჩქითს არ უშვებს ხელიდან, ეზოში ზის ხოლმე და ორი რამით ტკბება — გორაკზე, მზვარეში მდგარი ხირსის ტაძრის სიკეკლუცითა და ასამღერებლად ყელმოღერებული ფანდურის სიკოხტავით.

ჩვენ გვქონდა ბედნიერება, იმავე სოფელში მთასავით წამომართული ქიზიყელი ვაჟკაცების სიმღერა მოგვესმინა, მაგრამ ვერაფერი შეედრებოდა იმ შთაბეჭდილებას, როცა მათთან გაჯიბრებაში ხანში შესულმა კეთილმა კაცმა ნიკო ალავერდაშვილმა სწორედ ილო ბიძინაშვილის გამოთლილ ფანდურზე დაამღერა:

„დაჰკარ და დაჰკარ ფანდურო, კარგო მაძღე ბანია“...

**გ. კოკიაშვილი,**
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

სურათზე: ი. ბიძინაშვილი.
ნ. ბერიშვილის ფოტო.

# დრო, ამბები, მოვლენები

## „კომუნისტის“ კორესპონდენტები გვატყობინებენ

### პრემირებული ნაშრომები

შეჯამდა საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის მიერ გამოცხადებული კონკურსის შედეგები — ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის პრობლემატიკაზე მეცნიერულ-პოპულარული ბროშურების შესაქმნელად.

პირველი პრემია მიენიჭა პროფესორ გ. ბანძელაძეს ნაშრომისათვის „მადლიერებისა და სამართლიანობის მაღალი კულტურისათვის“; მეორე პრემია — დოცენტ კ. გოქსაძეს ნაშრომისათვის „პიროვნების ჩამოყალიბების წინააღმდეგობანი“, მესამე პრემია დაიმსახურეს დოცენტებმა გ. გურეშიძემ ნაშრომისათვის — „შრომითი სემესტრი სტუდენტი ახალგაზრდობის მზარდი სოციალური აქტიურობის სკოლაა“ და ლილი ჩინჩალაძემ ნაშრომისათვის „საბჭოთა ახალგაზრდობის ზნეობრივი აღზრდა“; მესამე პრემია მიეკუთვნა აგრეთვე ა. ტეცოტს ნაშრომისათვის „თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია და მისი სოციალური შედეგები“.

### ჯილდოები ფარჩინებულთ

ცხაკაია. (საკ. კორ). 1979-1980 სასწავლო წლისათვის მოსამზადებლად გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში მიღწეული თვალსაჩინო წარმატებებისათვის რაისაბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილებას გადაეცა რესპუბლიკური გარდამავალი წითელი დროშა და დიპლომი, ხოლო განყოფილების გამგეს კ. შარტავას — სსრ კავშირის სახალხო განათლების წარჩინებულის სამკერდე ნიშანი. 5 მუშაკმა მიიღო საქართველოს სსრ სახალხო განათლების წარჩინებულის ნიშანი.

### თერჯოლა

#### რაიონის სიახლენი

**სამხატვრო გალერეა.** დაბა თერჯოლაში ახლახან გაიხსნა სამხატვრო გალერეა. მის ხუთ საგამოფენო დარბაზს 350 კვადრატული მეტრი ფართობი უკავია. უკვე მოეწყო პირველი გამოფენა, რომელმაც დიდი ინტერესი გამოიწვია. აქ წარმოდგენილია რესპუბლიკის გამოჩენილი მხატვრების მრავალი საუკეთესო ნამუშევარი.

**„მაზის ყვავილობა“** — ასე ეწოდება ძველი ქართული სტილით ნაგებ ოდა-სახლს, რომელშიც ქორწინების სახლმა დაიდო ბინა. აქ ახალგაზრდების ბედნიერების საზეიმო რეგისტრაციის გარდა, სხვა დღესასწაულებიც გაიმართება.

**სკოლამდელთათვის.** რაიონში დიდი მუშაობა მიმდინარეობს სკოლამდელ ბავშვთა აღზრდის დაწესებულებების ქსელის გასაფართოებლად, აიგო და გაიხსნა საბავშვო ბაგა-ბაღები ქვედა სიმონეთში, ჭოგნარში, სარბევში, ნაგარევში, თუზში, ბარდუბანში, იწერში, კერამიკული ქარხნის დასახლებასა და ზედა სიმონეთში.

**ტკბილი კონვეიერი.** თერჯოლის საკონსერვო ქარხანას სამი წლის ისტორია აქვს. აქაური კონვეიერიდან 24 დასახელების პროდუქცია ჩამოდის, რომელთაგან ორი სახეობის პროდუქციამ შარშან სახელმწიფო ხარისხის ნიშანი დაიმსახურა.

ქარხანაში მალე დამთავრდება ახალი სეზონისათვის სამზადისი. ტექნოლოგები ვარაუდობენ კიდევ უფრო გაზარდონ ტკბილი კონვეიერის ასორტიმენტი და მომხმარებელს სულ ცოტა 2,5 მილიონი მანეთის პროდუქცია მიაწოდონ.

ო. ნიკაბაძე.

## თეთრებით — გაფრინდაშვილი



**გუშინ** თბილისის ჭადრაკის სასახლეში გაიხსნა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტ ე ბ ი ს, მსოფლიოს ექს-ჩემპიონ, დიდოსტატ ნონა გაფრინდაშვილისა და საერთაშორისო ოსტატ ნინო გურიელის მეოთხედფინალური მატჩი. ასპარეზობის მონაწილეებს მიესალმნენ თბილისის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

შეჯიბრების მთავარმა არბიტრმა აბრამოვმა ჩაატარა წილისყრა. დღეს პირველ პარტიაში, რომელიც დაიწყება 16 საათსა და 30 წუთზე, თეთრებით ითამაშებს ნონა გაფრინდაშვილი.

## საუკეთესო ექვსეულში

**ჩელიაბინსკში** დამთავრდა ხელბურთელ ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეორე წრე. თორმეტი კოლექტივი უშეღავათოდ იბრძოდა იმისათვის, რომ საუკეთესო ექვსეულში მოხვედრილიყო. მეორე წრის შემდეგ სატურნირო ცხრილში თბილისელებმა მესამე ადგილი დაიკავეს. აი ის ექვსეული, რომელიც მედლებისათვის ბრძოლას განაგრძობს: ცსკა — 39 ქულა (44 შესაძლებლიდან), მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის გუნდი — 33, თბილისის „ბურევესტნიკი“ — 28, მინსკის ასკ — 27, კრასნოდარის ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდი და კაუნასის „გრანიტასი“ — 26-26 ქულა.

## მეცხრე ტურის წინ

**თბილისში** მიმდინარე წყალბურთელთა საკავშირო ჩემპიონატზე გუშინ შესვენება იყო, თუმცა, ამ დღეს ორ გუნდს — სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური სპორტკლუბის კოლექტივსა და თბილისის „დინამოს“ „საქმე“ გამოუჩნდათ: იმის გამო, რომ მათი მატჩი წინა დღეს არ შედგა, ამ გუნდებმა გამოტოვებული შეხვედრა გუშინ გამართეს. გაიმარჯვეს სტუმრებმა ანგარიშით 6:5.

ჩემპიონატის პირველი წრის მეცხრე ტურის წინ გუნდების სატურნირო მდგომარეობა ასეთია: კასპიის წითელდროშოვანი ფლოტილიის გუნდი (ბაქო) და სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური სპორტკლუბის გუნდი (მოსკოვი) — 13-13, მოსკოვის „დინამო“ — 12, ალმა-ათის „დინამო“ — 11, მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდი — 9, თბილისის „დინამო“ — 8, კიევის „დინამო“ და მინსკის ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდი — 7-7, მოსკოვის „მოსკვიჩი“ — 6, ლვოვის „დინამო“ — 5, ტაშკენტის „მეხნატი“ — 4 და ვოლგოგრადის „სპარტაკი“ — 1 ქულა.

დღეს ასპარეზობის მეცხრე ტურის მატჩები გაიმართება. თბილისის „დინამო“ ხვდება კასპიის წითელდროშოვანი ფლოტილიის ბაქოელთა კოლექტივს.

ფეხბურთი

## ლიდერი გამოვლინდა



**გუშინ** გაიმართა საკავშირო თასის გათამაშების ჯგუფური ტურნირების მეორე ტურის მატჩები. თბილის-რუსთავის ზონაში ასპარეზობის მეორე კალენდარულმა დღემ ერთპიროვნული ლიდერი გამოავლინა. თუმცა, მივყვეთ რიგით:

**ვ. ი. ლენინის სახელობის თბილისის „დინამოს“ სტადიონი.** დინამოელებმა ამჯერად ალმა-ათის „ყაირათს“ უმასპინძლეს და ჯგუფური ტურნირის ეს მეორე შეხვედრაც მოიგეს — 2:1 (2:0). გოლები: ყიფიანი (მე-9 წუთზე), ჩელებაძე (23-ე) და თეხლევანდი (85-ე). დინამოელთა შემადგენლობა: გაბელია, კოსტავა, ჩივაძე, სულაქველიძე, ჭილაია, დარასელია, მ. მაჩაიძე, კოპალეიშვილი, მინაშვილი (შენგელია), ყიფიანი, ჩელებაძე. ისევე როგორც პირველი მატჩი, მასპინძლებმა ეს შეხვედრაც ძალების დაუძაბავად წარმართეს. თბილისელთა მიერ გატანილი ორივე ბურთი მაღალი ოსტატობის ნიმუში გახლდათ: პირველ შემთხვევაში, როცა ჭილაიას ზუსტი პასი ყიფიანმა უაღრესად ლამაზი გოლით დააგვირგვინა, მეორეში კი დარასელიას მიერ არანაკლებ ოსტატურად ჩაწოდებულ ბურთს ალბათ ერთადერთი უზუსტესი გაგრძელება მოუძებნა ჩელებაძემ და, ცხადია, ბურთმაც მიზანს მიაღწია. შესვენების შემდეგ თბილისელებმა მეტისმეტი სიდინჯით ითამაშეს. ალმაათელები კი გააქტიურდნენ, დინამოელთა კარი არაერთხელ დალაშქრეს და მატჩის მიწურულს ერთი გოლის გატანაც შეძლეს.

**თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონი.** ქუთაისის „ტორპედო“-ოდესის ასკ — 1:2 (0:0). გოლები: იარიკოვი (64-ე), ბურკაძე (69-ე) და კორიუკოვი (84-ე). „ტორპედოს“ შემადგენლობა: მჭედლიძე, შელია, გოგოლაძე, მერეჩკო, ზ. სვანაძე, ოქროპირაშვილი, ბურკაძე, ქვირია (გორგოძე), ფესტვენიძე, ებანოიძე, კვერნაძე.

**რუსთავის „მეტალურგის“ სტადიონი.** ხაბაროვსკის ასკ-ორჯონიკიძის „სპარტაკი“ — 0:0.

**თბილის-რუსთავის ზონაში ქულათა მაქსიმუმით (4) ლიდერობს „დინამო“.** მომდევნო ადგილებზე არიან: „სპარტაკი“, „ყაირათი“ და ოდესის ასკ — 2-2, „ტორპედო“ და ხაბაროვსკის ასკ — თითო ქულა.

რედაქტორი
ვ. ბედინეიშვილი

## ტელევიზია

### 2 მარტი

### თბილისი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ (მ.), 09.40 — „ცეროდენას ...“ (ფ.), 10.00 — შევისწავლოთ რუსული ენა (ფ.), 10.30 — „[illegible]“ (მ.), 11.00 — „სამეურნეო მექანიზმი — სიახლენი, პრობლემები“, 11.45 — კინონარკვევი „კარპატული რაფსოდია“, 12.00 — „ჯანმრთელობა“ — სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა (მ.), 12.45 — „დილის ფოსტა“ — მუსიკალური პროგრამა (მ.), 13.10 — ტელეკურსელთათვის — ქართული ენა და ლიტერატურა (სტუდიაში დოცენტი რ. ენუქაშვილი) (ფ.), 13.40 — „კინოაფიშა“, 14.10 — მულტიპლიკაციური ფილმების ტელევიზიო ფესტივალი „ჯადოსნური ეკრანი“, 14.30 — „მუსიკალური კიოსკი“ (მ.), 15.00 — „ვესტნიკი“ (ფ.), 15.30 — ახალგაზრდობისათვის — „მეგობრობის გზებით“, 15.50 — „კინოს მოყვარულთათვის“, 16.55 — ტელევიზიო ნარკვევი „ჩემი ქარხნის ერთი კვირა“. კვირადღე მეშვიდე. (ფ.), 17.15 — „კინომოგზაურობის კლუბი“ (მ.), 18.15 — ხალხური მუსიკის კონცერტი, 19.00 — „საერთაშორისო პანორამა“ (მ.), 19.45 — მულტიპლიკაციური ფილმი, 20.00 — სსრ კავშირის პირველობა წყალბურთში „დინამო“ (თბილისი) — კწფ (ბაქო) (ფ.), 21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 21.30 — პოეზია — პაოლო იაშვილი (ფ.), 22.00 — „ვრემია“ (მ.), 22.35 — საჭადრაკო მიმოხილვა, 22.45 — „რუსთაველის სახელობის თეატრის ტრიუმფი ლონდონში“ ფერადი (განმეორებით).

მეორე პროგრამით: 15.50 — ბავშვებისათვის — მხატვრული ფილმი „შემოდგომის ზარები“ (ფ.), 17.20 — „პოეზია“ — აკაკი წერეთელი (ფ.), 17.50 — მულტიპლიკაციური ფილმები, 18.20 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „ადამიანი და ვარსკვლავები“, 19.10 — კონცერტი, 19.50 — ქართული მხატვრული ფილმი „ამკლების დაბრუნება“ (ფ.).

### მოსკოვი

მეოთხე პროგრამით: 10.00 — დოკუმენტური ფილმები ხალხური მხატვრული ხელოსნობის შესახებ, 11.05 — მარჯვე ხელი, 11.35 — ავღანელი მხატვრების კონცერტი, 12.05 — საბავშვო მუსიკალური ტელესპექტაკლი „ნარაში ადომელისი“, 12.45 — „თქვენთვის, მშობლებო!“, 13.15 — ნ. ოსიპოვის სახელობის რუსული ხალხური ინსტრუმენტების სახელმწიფო აკადემიური ორკესტრის კონცერტი, 13.50 — დოკუმენტური ტელეფილმი, 14.35 — ტელეფილმი „ბაგილის ნაპოვნი“, 15.45 — „ცეკვავს ლუდმილა სემენიაკა“, 16.40 — დოკუმენტური ტელეფილმი, 17.20 — ცირკის არენაზე — 17.55 — მ. ანჩაროვი — „ერთ მიკრორაიონში“. ტელესპექტაკლი. მეორე სერია, 19.00 — მოგონება გ. ნეიგაუზის შესახებ, 19.40 — კინომოყვარულების თანამეგობრობა, 20.10 — მსოფლიო ჩემპიონატი ციგურებით რბოლაში. ვაჟები, 21.00 — „ძილი ნებისა, პაგარებო!“, 21.15 — წყალბურთი. მოსკოვის „დინამო“ — მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 21.30 — მუზეუმებსა და საგამოფენო დარბაზებში, 21.50 — ს. პროკოფიევის ნაწარმოებები, 22.40 — მხატვრული ფილმი, „როცა ნისლი იფანტება“.

## თეატრი

### 2 მარტი

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — **გედის გბა** (დღისით), **დაისი** (საღამოს); რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **როლი დამწყები მსახიობი გოგონასათვის** (დღისით), **ჩვენი თანამედროვე** (საღამოს), მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **რვა მოსიყვარულე ქალი** (დღისით და საღამოს); აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — **სათაგური** (დღისით), **მე, ბოლი და სიდედრი** (საღამოს); მიხაილოვის სახელმწიფო — **ნურც გაფრინდები, ნურც მოფრინდები** (დღისით), **ლუარსაბ თათქარიძე** (საღამოს); რუსთავის სახელმწიფო დრამატული (კვენიფელთა სახლში) — **დარაბებს მიღმა გაზაფხულია.**



ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი.
(აკ. წერეთლის გამზ. № 2)
4 მარტს

ფეხბურთი

სსრ კავშირის თასის გათამაშება
თბილისის „დინამო“ — ქუთაისის „ტორპედო“

დასაწყისი 16 ს. და 30 წ.
ბილეთები გაიყიდება 4 მარტს დილის 10 საათიდან „დინამოს“ სტადიონის სალაროებში.
ადგილები დაუნომრავია.
ძალაშია 1979 წელს გაცემული ყოველგვარი საშვი.
თუ გააცივდა, თამაში გაიმართება „ლოკომოტივის“ სტადიონზე.

5 მარტს

ფეხბურთი

ევროპის თასების მფლობელთა თასზე მოსკოვის „დინამო“ — საფრანგეთის „ნანტი“

დასაწყისი 19 საათზე
ორგანიზაციებისათვის ბილეთები გაიყიდება 3 მარტს დილის 10 საათიდან.
ბილეთების საერთო გაყიდვა — 5 მარტს დილის 10 საათიდან „დინამოს“ სტადიონის სალაროებში.
ძალაშია 1979 წელს გაცემული ყოველგვარი საშვი.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ 81 წლისა გარდაიცვალა პრეზიდიუმის აპარატის ღვაწლმოსილი მუშაკი, რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, შრომის ვეტერანი, საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტი

კონსტანტინე ელიზბარის ძე მაჩაბელი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

## მხატვარი გმობს კერძომესაკუთრულ ტენდენციებს

ამ დღეებში თბილისში გამართული სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის თემებზე



ლ. მართაშვილის ნახატები.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 10072 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხომარაულის 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20